საერთო გაზეთი

№21 (432) • 31 მაისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვინ განავრცობს საქართველოს საქართველოს შიგნით?

...ასე მივიღეთ საქართველოს შიგნით ქართული მოსახლეობის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გადანაწილებით განვრცობილი და გაფართოებული ახალი საქართველო.



გადანახული ქვეყანა

უცხოელებზე მიწის გაყიდვა თუ არ აიკრძალა, ნებისმიერ ირანელ თუ არაბ მილიარდერს შეუძლია მთელი საქართველო იყიდოს

იქნებ დაინახოთ ფარდის მიღმა

ცრემლიანი საქართველო

ამ ქვეყნის ბედი მაინტერესებს, თორემ პიტალო თორდიას შუბაც დავხიე და ფარცხალაძისაც...

რატომ არის საქართველოში რაგბისტობა ინდულგენცია?

რატომ ჭიანურდება სასამართლო პროცესი იმ ავტოკატასტროფასთან დაკავშირებით, რომელსაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა?

ᲘᲣᲕᲔᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ



სანამ გონებას დაკარგავდა, გოგონამ თქვა, რომ მის შემდეგ ბიჭი გადმოხტებოდა, რაც უკვე მოხდა...

ვახტანგ ხარჩილავა:

ვინ განავრცობს საქართველოს საქართველოს შიგნით?

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარ ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

ნიკო ლორთქიფანიძე

თავზარდამცემი, გამაოგნებელი სიტყვებია, თუმცა კიდევ უფრო თავზარდამცემი და გამაოგნებელი ის არის, რომ ასი წლის წინათ დაწერილი ეს სიტყვები თითქოს დღევანდელობაზეა დაწერილი.

ას წელს გაუვლია, მაგრამ არაფერი შეცვლილა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ვტრიალებდით და ამ ასი წლის განმავლობაში წინ კი არ წავსულვართ, ასი წლით უკან დავბრუნებულვართ.

ჩვენს არაინფორმირებულ, უცხო ქვეყნებში არსებული ცენტრების მიერ მართული მედიასაშუალებებით ტვინამღვრეულ და გონებადაბინდულ საზოგადოებას ჰგონია, რომ ლიბერალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, გლობალიზმი ბოლო პერიოდის „მონაპოვრებია“, არადა, ყოველივე ამას ძალიან შორეული ფესვები და ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს.

შემთხვევითი ხომ არ არის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იწერება ვაჟა-ფშაველას გენიალური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც პასუხია იმ დროისათვის უკვე ფეხმოკიდებული კოსმოპოლიტური იდეებისა, რომლებსაც დროის მცირე მონაკვეთში ათასი ჯურის პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების მომრავლება მოჰყვა.

შეიძლება ბევრმა ისიც არ იცის, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში, უკვე ფუნქციონირებდა მასონური ლოჟა.

საქართველო აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახალი ეპოქის მკაცრ და სასტიკ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

თავად-აზნაურობამ, რომელმაც საერთოდ ვერ აუღო ალღო ახალ დროებას, მიწების გაყიდვას მიჰყო ხელი.

საქმეს ვერც ილია ჭავჭავაძის მიერ საადგილ-მამულო ბანკის დაარსებამ უშველა ბოლომდე.

მოკლედ რომ მოვჭრათ, 1918 წლისთვის, ანუ იმ დროისთვის, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აღმოსავლეთ საქართველოს სახნავ-სათესი მიწების თითქმის 70% არაქართველების ხელში იყო.

70 წელი დაჰყო საქართველომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი კვლავ იმ დროში დავბრუნდით, როცა ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“ იწერებოდა, დავბრუნდით ზუსტად იმავე პრობლემებთან, ზუსტად იმავე საფრთხეებთან, ზუსტად იმავე განსაცდელთან, რომლებიც 100-120 წლის წინათ გადაშენებას და იავარქმნას გვიქადდა.



ყურადღებით დააკვირდით ნიკო ლორთქიფანიძის ტექსტს, იქ მხოლოდ მიწის გაყიდვაზე კი არა, ლაპარაკია ქვეყნის სულიან-ხორციანად გაყიდვაზე, ქვეყნის სრულ გადაგვარებასა და გადაჯიშებაზე.

— იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა! — ბრძანა ერთ-ერთი ქვეყნიდან საქართველოს შესასყიდად სპეციალურად გამოგზავნილმა პერსონამ, რომელიც შეთავსებით „ნაცმოძრაობის“ მთავარ ბროკერად მუშაობდა.

„ნაცმოძრაობამ“, რომელიც დღეს საქართველოს დამცველის და ერთგული გუშაგის როლში გვევლინება, ფაქტობრივად, გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა.

რაც შეეხება სინდისს, სინდისი მათ არც არასოდეს ჰქონიათ და, აქედან გამომდინარე, რაც არ გაქვს, იმას ვერ გაყიდი...

* * *

მიწა, ცხადია, არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივი საგანი. სინამდვილეში, ის სტრატეგიული ბერკეტია, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია მართოს შიდა თუ გარე პოლიტიკის ვექტორები, მისთვის სასურველ კალაპოტში მიუშვას დემოგრაფიული პროცესები, განამტკიცოს და გააძლიეროს ქვეყნის უსაფრთხოება, განავითაროს სოფლის მეურნეობა, მყარი საფუძველი შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ წინსვლას და ა. შ.

ვფიქრობ, მიწის გაყიდვა-არგაყიდვის საკითხის ცალკე გამოყოფა და ამ თემის გარშემო დისკუსია და დებატები არაფრის მომცემია, თუ სახელმწიფოს არ გააჩნია ამ სახელმწიფოს მშენებლობის კარგად გააზრებული და აწონილ-დაწონილი კონცეფცია, მთავარი იდეა, გენერალური გეგმა.

ვთქვათ და, გაჩნდა კონსტიტუციაში ჩანაწერი, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება და მერე რა ამით?

ეს გაუყიდავი, უმოქმედო, „დაკონსერვებული“ მიწა მხოლოდ დამშეული და გაღატაკებული ადამიანების საფლავებად თუ გამოგვადგება, თორემ უმოქმედოდ დარჩენილ მიწას სხვა რა სარგებლის მოტანა შეუძლია?

კი, ბატონო, არ გავყიდოთ მიწა უცხოელებზე და გავყიდოთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე და მათ შორის იმ შინაურ „უცხოელებზეც“, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ, „სხვაგან ჰქრის მათი გონება“ და გულიც სხვა სამშობლოსთვის უძგერთ.

ამ შინაურ „უცხოელებს“ ისეთი ფინანსური ზურგი აქვთ საზღვარგარეთ, თუ მოინდომეს, მილიარდებს შემოზიდავენ აქ და მთელ საქართველოს თუ არა, ნახევარ საქართველოს ისე იყიდიან, მათ ჯიბეს არაფერი შეეტყობა.

ასე რომ, უცხოელებზე მიწის გაყიდვა-არგაყიდვის კანონების შემოღებით რეალურად სულაც არ იხსნება ის პრობლემები, რომლებიც ასე აწუხებს დღეს საქართველოს მოსახლეობას.

როგორც ზემოთ ვთქვით, მიწის გაყიდვა-არგაყიდვის საკითხი ცალკე კი არ უნდა იხილებოდეს, არამედ სახელმწიფოს მშენებლობის გენერალური გეგმის კონტექსტში, მასთან უშუალო კავშირში, როგორც ამ კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი, როგორც მისი ფუძე და ქვაკუთხედი.

ახლა კი ის ვიკითხოთ, გვაქვს კი ჩვენ, ქართველებს, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ნათ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაპალ-დასაპალის“ სტამბაში; თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ლად გამოკვეთილი კონცეფცია?

სააკაშვილს ასეთი „კონცეფცია“ ჰქონდა და მას საქართველოს სინგაპურიზაცია ერქვა.

სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან, მაგრამ ქართულმა სახელმწიფომ უარი თქვა თუ არა სინგაპურიზაციის გეგმაზე, გადაწყვეტით ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია.

საქართველოს სინგაპურიზაცია, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის ტვინში კი არა, სულ სხვაგან და სხვათა გონებაში დაიბადა, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოს თვითლიკვიდაციას ნიშნავს.

ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, რაღაც დოზით, აუცილებლად შეიცავს სინგაპურიზაციის ელემენტებს, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ გზას აგრძელებს.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების კონცეფცია, მისი გენერალური გეგმა საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი, რაც, თავისთავად

ცხადაია, ბევრი ეჭვისა და მითქმა-მოთქმის საბაბი ხდება.

განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ეჭვი მაშინ გაჩნდა, როცა ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა საინფორმაციო საშუალებებში.

ამ ფაქტების უმრავლესობა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდიდან მოდის და, სულაც არ არის გამორიცხული, ყველაფერი ეს კორუფციასა და კრიმინალთან იყოს დაკავშირებული.

სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მავნებლობის ისტორია სათანადოდ არ არის დღემდე გამოძიებული და გამოკვლეული, არადა, ეს მავნებლობა იმდენად გრანდიოზული მასშტაბებისაა, არავინ იცის, სად, რომელ მოსახვევში წამოგვეწევა დიდ უბედურებად.

* * *

ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, შეიძლება ბევრს გაუკვირდეს და ბევრმა არც დაიჯეროს, თუმცა, გარწმუნებთ, სრულ სიმართლეს ვამბობ და არაფერს არ ვიგონებ.

საქმე ის არის, რომ მიწის, როგორც ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების სტრატეგიული ბერკეტის გამოყენება, სწორედ რომ კომუნისტების დროს, კერძოდ კი ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდება.

დასანანია, რომ საქართველო ჯერ კიდევ ქართველთმოძულე ხრუშჩოვის მიერ წარმოებული პროპაგანდა-აგიტაციის გავლენის ქვეშ იმყოფება და ძალიან ცოტა რამ იცის იმ საქმეების შესახებ, რაც ბერიას აქვს საქართველოსთვის გაკეთებული.

როცა ბერიას ასამართლებდნენ, მას მთავარ ბრალდებად კომუნისტური იდეების ღალატი წაუყენეს და ეს სიმართლე იყო.

ბერია არასოდეს ყოფილა ორთოდოქსი კომუნისტი. ის გახლდათ დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც სოციალისტური წყობის შემდგომი განვითარება სრულიად სხვაგვარად წარმოედგინა.

როგორც თავისი მკაცრი და სასტიკი ეპოქის ღვიძლ შვილს, ბერიასაც ბევრი ცოდვა ედო კისერზე, მაგრამ ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოს პატრიოტიც იყო...

ამ მცირე მოცულობის წერილში, რაც ახლა ვთქვი, იმის არგუმენტირებულად დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ ეს საქმე სხვა დროისთვის გადავდოთ, ახლა კი იმის თქმით დავკმაყოფილდეთ, რომ სწორედ ლავრენტი ბერიას დროს დაიწყო ქართველთა ორგანიზებული ჩასახლებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სადაც ქართველები ან ძალიან მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ ცხოვრობდნენ.

ასე გაჩნდა ახალი ქართული „კოლონიები“, ახალი ქართული სოფლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში — სამცხე-ჯავახეთში, ლაგოდეხში, აფხაზეთში, სხვაგან და სხვაგან.

ასე მივიღეთ საქართველოს შიგნით ქართული მოსახლეობის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გადანაწილებით განვრცობილი და გაფართოებული ახალი საქართველო.

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, — აი, ასე, ქართული ენის გავრცელების არეალით შემოსაზღვრა ქართლის, ანუ ქართული სახელმწიფოს საზღვრები გრიგოლ ხანძთელმა.

ის, რაც ბერიამ გააკეთა, ამ ფორმულის რეალურად ხორცშესხმის წარმატებული მცდელობა იყო...

იმ ქართული რეგიონების „გაქართველება“, სადაც ქართული მოსახლეობა თითქმის არ ესახლა, მეტ-ნაკლები მასშტაბებით შემდგომშიც გაგრძელდა.

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ ჯუმბერ პატიაშვილის დიდი ძალისხმევა ქვემო ქართლის რეგიონში ქართველთა კომპაქტური ჩასახლებების მიმართულებით, რამაც ამ ძირძველ ქართულ კუთხეს ქართული ძალა და ენერგია შესძინა.

აი, ასეთი ამბები ხდებოდა იმ საქართველოს რესპუბლიკაში, რომელიც სსრკ-ის შემადგენლობაში იყო და თავის ბედ-იღბალს მთლად დამოუკიდებლად ვერ განაგებდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას.

ახლა რა გვჭირს, ამ დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოში, როცა წესით და რიგით ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს, რა და ვინ გვიშლის ხელს, ქართული მიწა გასაყიდად და გასასხვისებლად კი არა, ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებლად, ქართველთა გასამრავლებლად და გასაძლიერებლად გამოვიყენოთ?

თუ ჩვენ გულწრფელად გვინდა ქართული სახელმწიფოს აშენება, არა სინგაპურის, არა კოსმოპოლიტური სუპერმარკეტის, არა ინტერნაციონალური ბაზრობის, არამედ ქართული სახელმწიფოს აშენება, მაშინ ეს სურვილი თავისთავად მიგვიყვანს სწორ გადაწყვეტილებამდე, სწორ კონცეფციამდე, რომელიც ამ დიადი მიზნის განხორციელებას შეგვაძლებინებს.

* * *

დღეს ვიღაც-ვიღაცები ბიძინა ივანიშვილის მიერ 2013 წელს გაკეთებულ განცხადებას, უფრო ზუსტად, რეპლიკას იხსნებენ, სადაც ის ამბობს, რომ მიწა, შეიძლება, უცხოელებზეც გაიყიდოს.

აი, ამ ფრაზაზე აიგო ის შავი პიარი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომლითაც მავანი და მავანი ცდილობენ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ და საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს ვინმე მთელი საქართველოს უცხოელებზე გაყიდვას აპირებდეს და ამის მიზეზი ივანიშვილის ზემოთნახსენები განცხადება იყოს.

კი, მაგრამ, რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა ისეთი, რაც სხვებს და მათ შორის მის ხმალამოღებულ ოპონენტებსაც არ უთქვამთ?

შეიძლება ჭკუათმყოფელმა კაცმა, ვინც არ უნდა იყოს ის და რომელ პარტიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს, თქვას, რომ კარები უნდა ჩავკეტოთ, ფანჯრები უნდა ამოვქოლოთ და ქვეყანაში არავინ არ უნდა შემოვუშვათ?

ასე ხომ ამოვიგუდებით და ამოვიხრჩობით ამ უჰაერო და უჟანგბადო სივრცეში?!

ცხადია, უცხოელსაც უნდა მივცეთ საშუალება, საქართველოში ბიზნესი აწარმოონ — ჩადონ ინვესტიციები, შეიძინონ ან თვითონ დააფუძნონ ფაბრიკა-ქარხნები, იყიდონ თუნდაც მიწა, ოღონდ არა შეუზღუდავი რაოდენობით, ან ბუნდოვანი მიზნებით, არამედ ჩვენს მიერ სათანადო კანონებით განსაზღვრული, ჩვენს მიერ ნაკარნახევი ვალდებულებებით და პირობებით, როგორც ეს მთელ მსოფლიოში ხდება.

თუ გვექნება ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სწორად დაგეგმილი კონცეფცია, ყველაფრის, მათ შორის მიწის გაყიდვის დარეგულირება ისე შეიძლება, რომ ყოველივე ამან საქართველოს ზიანი კი არა სიკეთე და სარგებელი მოუტანოს...

აი, ეს იგულისხმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წელს მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში და არა ის, რასაც მისი უღირსი და უთავმოყვარეო მტრები აბრალებენ.

— ყველაფერს ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს! ლამის მთელი საქართველო იყიდოს! — შეშფოთებული წკავწკავებენ ტურამელები თავიანთი პოლიტიკური სოროებიდან.

თქვენ ნუ წუხხართ — ბიძინა ივანიშვილის მიერ შესყიდული საქართველო ქართველებს რომ არ დაეკარგებათ, უფრო ზუსტად, ქართველებს რომ დაუბრუნდებათ, ისე, როგორც დაუბრუნდათ ეკლესიები და მონასტრები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებელები, თეატრები და სპორტული მოედნები, საავადმყოფოები და კლინიკები, სანერგე მეურნეობები, ბაღები, სკვერები, პარკები და სხვა უამრავი რამ, ეს დანამდვილებით ვიცი...

გადანახული ქვეყანა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, ბოლო დროს კვლავ გააქტიურდა საუბარი საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე. ახლახან, აპატურაიმ განაცხადა — მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოშიო. აქვე, საყურადღებოა, რომ საქართველო — არაწევრი ქვეყანა ნატოს საპარლამენტო ასამბლეას მასპინძლობს. რაზე მიანიშნებს ყოველივე?

— გეო-პოლიტიკურ ჭრილში, ეს სხვა არაფერია თუ არა ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გადახედვის დასაწყისი. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, მეტი ნატო საქართველოში ქართული საზოგადოებისთვის შფოთის შემომტანია. იმიტომ, რომ მეტი ნატო საქართველოში, ქართული ხელისუფლების მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ მკაფიო პოლიტიკის არარსებობის ფონზე, სხვა არაფერია თუ არა, რუსეთის სასარგებლოდ, ოკუპირებული ტერიტორიების პირდაპირი აღიარების პოლიტიკა და დანარჩენ საქართველოში ნატოს ბაზების შექმნის მცდელობა იმის ფონზე, როდესაც თურქეთის რესპუბლიკა აჭარაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიას რეალურად ახორციელებს. ეს ნიშნავს, რომ საქართველო შესაძლოა ძალიან მალე, ასეთი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში, სრულიად დაქუცმაცდეს და დაიშალოს. ეს ნიშნავს, რომ ის რაც 1991 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ცნობილი და აღიარებული იქნა, დღეს, ჩვენივე რიტორიკის საფუძველზე თავდაყირა დგება. ვითომ ე.წ. პრიორიტეტის აღიარებით, რაც სურთ საქართველოს კონსტიტუციაში მე-11 თავის სახით შეიტანონ და ჩაწერონ მთავარ მიზნად საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განუხრელი სწრაფვა, ეს სწორედ იმის უვერტურაა, რომ ხვალ, საქართველოს ტერიტორია ზე-სახელმწიფოებმა მონადირებული ნადავლივით გაიყონ მათ მიერვე დასახული ინტერესების შესაბამისად.

— აფხაზეთში ვიზიტისას ზალბერმა აფხაზები დააიმედა, რომ დაგვარწმუნებს „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ დოკუმენტს ხელი მოვაწეროთ. ეს ხომ დაკარგული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს?

— „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ დოკუმენტის ხელმოწერის მოთხოვნა, რომელიც უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ დღის წესრიგში ტივტივებს და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მკვდარი წერტილიდან დაძვრის ერთ-ერთ მთავარ პოზიტიურ პირობას წარმოადგენს, სხვა არაფერია თუ არა არაღიარების პოლიტიკის რეალური გადახედვა.

არაღიარების პოლიტიკა ნელ-ნელა აღიარების პოლიტიკაში გადავა, რაც ნატოში ინტეგრაციის აუცილებლობით და საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ნატოს ქოლგის ქვეშ დაფარვით იქნება გამართლებული.

სამწუხარო პროგნოზი უნდა გავაკეთო: მეტი ნატო საქართველოში სწორედ აპრიორი გულისხმობს რუსეთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი წილის დათმობის პერსპექტივას. ლუჟკოვის ვიზიტისას გაკეთებული განცხადება: ქართული საზოგადოება უნდა შეეგუოს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი ველარასოდეს იქნება მისი ქვეყნის ტერიტორიულად შემადგენელი ორგანული ნაწილი, სხვა არაფერია თუ არა ინფორმაციის გატესტვა, მასზე მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინებით, იმ ძალების მხრიდან, რომლებსაც მფარველი და ორგანიზატორი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და შიგნითაც ჰყავთ. რაც მთავარია ლუჟკოვის სიტყვები ძალიან სერიოზული პოლიტიკური განაცხადია იმაზე, თუ რის დათმობას აპირებს და რისას არა რუსეთი.

რუსეთს თავისი ინტერესი აქვს, რასაც ჩვენი ხელისუფლება ხელს შეუწყობს. სამაგიეროდ, დღევანდელ ხელისუფლებას თავისი პატრონებისგან მიღებული აქვს დავალება, რაც პირნათლად უნდა შეასრულოს. უნიათო ხელისუფლების ტერმინი შემთხვევით არ გაჩენილა. ეს „ნაცმოძრაობამ“ გააჩინა იმიტომ, რომ შემდგომში მათ უნიათობას ბევრი რამ დაბრალდეს. ე.წ. კოაბიტირებული ნაცი, რომელიც ხელისუფლების გადმოსაბარებლად ემზადება, დასავლელი პატრონის მითითებებითა და დირექტივებით, ისევ თავის ხისტ პოლიტიკას გააგრძელებს კანტი-კუნტად დარჩენილი ქართული სათვისტომოებისა და ოჯახების საბოლოოდ ჩასაქოლად. ეს არის ის დოქტრინა, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ხორციელდება. ეს არის სწორედ ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2009 წელს ხმამაღლა განაცხადა: საქართველოში იწყება შეუქცევადი დემოკრატიული და სოციალური რეფორმები; საქართველო არის ამ რეფორმების განხორციელების ლაბორატორია და გადანახული ქვეყანა, რომელიც უცხოელებისთვის უნდა გაიხარჯოს. გაგახსენებთ, ტურიზმის დეპარტამენტის რებრენდინგს, რაც დღეს, პრაქტიკაში ხორციელდება. გადანახული ქვეყანა იხარჯება იმ ათასეულობით მიგრანტისთვის რომლებიც საქართველოში ჩამოდიან და შეუძლიათ საკანონმდებლო დონეზე მიიღონ ბინადრობა, მოქალაქეობა, შეიძინონ მიწა, საკუთრება და ინვესტიციის საფარველ ქვეშ ჩვენი ქვეყნის სრული ოკუპაცია მოახდინონ. სწორედ ეს არის ტურიზმის საფარველ ქვეშ მოქმედი აგრო-ეთნო ტერორიზმი, როდესაც დიდი ფულის გავლენის ძალით, მკვიდრი მოსახლეობის მხრიდან, საკუთარ მიწაზე ნებაყოფლობით უარის აღიარება ხდება.

— რის ხარჯზე შევდივართ ნატოში, ჩვენ ხომ ტერიტორიების დაბრუნება გვინდოდა და არა პირიქით? თუ ამ პატარა ტერიტორიაზე რუსეთის და ნატოს ბაზები განთავსდება, სამხედრო პლაცდარმად ხომ არ გადავიქცევით? ასეთ შემთხვევაში, ვინ დაგვიცავს?

— სრულიად ლეგიტიმური შეკითხვაა: ვინ დაგვიცავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ინტერესების გატარებისგან? ნატოს უკან სახელმწიფოები და აშშ-ს ჰეგემონური ინტერესები დგას ვინაიდან, აშშ-ს ბიუჯეტი ნატოს ბიუჯეტს 75%-ის დონეზე უზრუნველყოფს. ტრამპმა განაცხადა, რომ მას არასამართლიანად მიაჩნია ამერიკული დოტაცია 75%-ს შეადგენდეს და ყველა დანარჩენი სახელმწიფოსი ერთად აღებული 25%-ს. მან თქვა, რომ ეს უნდა გამოსწორდეს. სინამდვილეში, მართლა კი არ აპირებს ვინმე ამის გამოსწორებას, არამედ ამის თქმით ხაზი გაესვა იმას, რომ ნატო როგორც ინსტრუმენტი, პირველ რიგში, აშშ-ს ინტერესის გამომხტველი იქნება. აშშ რომელსაც მთელს მსოფლიოში 800 მილიტარიზირებული სამხედრო ბაზა აქვს, ბუნებრივია, შესაძლებლობისთანავე უკან არაფერზე დაიხევს. ხოლო გეო-პოლიტიკური თამაშების ჭრილში, საქართველოში ნატოს ფეხის მოკიდება, ანუ, აშშ-ს ინტერესების გაძლიერება ერთ-ერთი მთავარი გეო-სტრატეგიული ამოცანაა. მით უმეტეს მაშინ, როცა ახლო-აღმოსავლეთში მძიმე ვითარებაა, როდესაც ტოტალური ომია სირია, ერაყის ტერიტორიებზე, მაშინ როდესაც პრობლემებია ირანთან მიმართებითაც, ამ სიტუაციას ფონად გასდევს კრიზისი ჩრდილოეთ-კორეასთან მიმართებაში. ამ დროს, ნატოსთვის და აშშ-სთვის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმის რეალიზაცია, რომ საქართველოში ყველა გზით, საშუალებით ნატომ ფეხი მოიკიდოს. სწორედ, აქ, ხომ არ არის ძაღლის თავი დამარხული? შემთხვევით აქ ხომ არ მიდის ძალიან დიდი ვაჭრობა რუსულ-ამერიკულ ურთიერთობათა ჭრილში, რომელიც მთელს მსოფლიოს ცივი ომისკენ მიაქანებს, რუსეთმა გარკვეული ინტერესების საფასურად, ნატოს სასარგებლოდ, თავისი ინტერესების ნაწილი დათმოს. გაძლიერდა რიტორიკა მაპის გარეშე ნატოში შესვლის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ თურქეთი 40 წელზე მეტია ნატოს წევრი ქვეყანაა და რეალურად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის შესახებ პოლიტიკური განაცხადი არასდროს გაკეთებულა. ნატოს ამა თუ იმ ქვეყნის წევრობა მისი კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე აწყობს. აღმოსავლეთის გაფართოების კონტექსტში ჩერნოგორიის მერე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარეშე ნატოში გაწევრიანება, ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ მე-5 პარაგრაფი კრძალავს ოკუპაციის პირობებში წევრობას, პირდაპირ იგულისხმებს იმას, რომ ნატო საქართველოში შემოვა აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე. სხვა საკითხია რა უწერია აჭარას ნატოს შემოყვანის მხრივ ნატო-თურქეთსა და აშშ-სა და თურქეთს შორის პარტნიორული ურთიერთობების კონტექსტში, რომელიც ყარსის უვადო ხელშეკრულების პროცესში ასამოქმედებელი ნელადმოქმედი ნაღმიც გახლავთ. ასე, რომ ყველა ამ ნიუანსში რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის დიპლომატიური და პოლიტიკური არხების სწრაფი ამოქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

უცხოელებზე მიწის გაყიდვა თუ არ აიკძალა, ნებისმიერ ირანელ თუ არაბ მილიარდერს შეუძლია მთელი საქართველო იყიდოს

„ქართული მიწა უცხოელებზე არ უნდა გაიყიდოს. თუ პარლამენტი კონსტიტუციით არ აკრძალავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გასხვისებას, პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართავთ“, აცხადებს საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ წევრი რამაზ გაგნიძე.

მავანთა გასაგონად ვამბობ, დასავლური კურსის კონსტიტუციაში ჩაწერას რომ ითხოვენ, ჩაიხედონ დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობებში, სად წერია მიწის, მით უმეტეს დიდი ფართობების უცხოელებზე გასხვისების შესახებ. შეიძლება მხოლოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემა, თანაც მისი ფართობი 2.000 კვმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, სადაც მხოლოდ კომერციული ობიექტის აშენება შეიძლება. ჩვენთანაც ასე უნდა დარეგულირდეს, უნდა დაკონკრეტდეს, რომ შესყიდული ფართობი

მხოლოდ კომერციული საქმიანობისთვის გამოიყენონ, თორემ იქ შეიძლება 30-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი ჩადგან, შემოიყვანონ უცხოელების ასი ოჯახი და შეასახლონ, რაც ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მოკლე ხანში უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს.

პირდაპირ ვაცხადებ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აზრია, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდოს და ეს კონსტიტუციაშიც მკაფიოდ დაფიქსირდეს. „ქართულმა მისიამ“ და მასთან არსებულმა „ქართული მიწის დაცვის ჯგუფმა“ ხელისუფლებას 1 ივნისამდე მივეცით ვადა, რომ ეს მოთხოვნა შესრულდეს, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მშრალ შიმშილობას გამოვაცხადებთ, ღმერთმა არ ქნას, რომ რომელიმე ჩვენგანი დაიღუპოს, რადგან ძალიან ცუდი პროცესები დაიწყება მიწის გამყიდველების წინააღმდეგ. შეიძლება ვინმემ მითხრას, „ქართული ოცნება“ რა შუაშია, მათ მიწის უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით მორატორიუმი გამოაცხადეს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს აკრძალვაო. მაშინ რატომ არ გინდა ახალ კონსტიტუციაში შეიტანო ამ აკრძალვის შესახებ ჩანაწერი, ხომ იცი, რომ ისე ვერ შეცვლი ხსენებული სასამართლოს მიერ მიღებულ ქვეყნის დამღუპველ გადაწყვეტილებას, აბა, რას ცვლი კონტიტუციას, თუ ისევ ნაციონალებისა და მათი სატელიტების თამაშს თამაშობ?

- ბატონო რამაზ, კონსტიტუციაში მხოლოდ ის ჩაიწერა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ გასხვისდესო, მავანთ ხომ რჩებათ ლავირების საშუალება, მიწის კატეგორიის შეცვლა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, საქართველოს მოქალაქეობასაც ფოჩიანი კამფეტებივით არიგებენ, 35.000 დოლარს გადაიხდი იუსტიციის სახლში და გზა ხსნილი გაქვს.

- არსებობს სახნავ-სათესი, სავენახე, საბაღ-ბოსტნე და ა.შ. მიწები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეცვალოთ კატეგორია. შეიძლება მიწა გაიყიდოს, ოღონდ ძალიან მცირე რაოდენობით, სადაც მხოლოდ კომერციული ობიექტები აშენდება, საცხოვრებელი ზონა არ უნდა იყოს და ესეც უნდა ჩაიწეროს კონსტიტუციაში, ქართველებისა და ქართული მიწის ხარჯზე უცხოელები არ უნდა გამრავლდნენ ჩვენს ქვეყანაში. ზოგიერთი უგუნური რომ ამბობს, მერე რა მოხდა, გავასხვისოთ მიწა უცხოელებზე, ზურგზე ხომ არ მოიკიდებენო, იმ მიწიანად მოგვიკიდებენ, თუ ყველაფერი უცხოელების ხელში გადავიდა, მალე შეიძლება ქართველს საკუთარ ქვეყანაში აღარ დაედგომებოდეს. ისე, მე გრძელვადიანი იჯარების წინააღმდეგიც ვარ, ეს ვადა მაქსიმუმ ათი წელი უნდა იყოს, უცხოელმა მიწა მარტო თავის სასარგებლოდ კი არა, ქართველი ხალხის სასიკეთოდაც უნდა გამოიყენოს. ეს საკითხიც მკაცრად უნდა დარეგულირდეს. თუ ინვესტორმა მართლაც მოუტანა ჩვენს ხალხს ეკონომიკური კეთილდღეობა, შეიძლება იჯარის ვადა გავუგრძელოთ.

მივიჩნევ, რომ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების კანონი დასახვეწია, უცხოელებზე არ უნდა გაიცეს ორმაგი მოქალაქეობა. ჩვენი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს უცხოელმა საქართველოს მოქალაქეობა, რომ მერე მას ქართული მიწის შეძენის უფლება ჰქონდეს. რაც ყველაზე მთავარია, 2004 წლამდე მონაცემებით, ანუ სანამ ნაცმოძრაობა ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, 800.000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები გაგვაჩნდა, აქ შედიოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებიც. ამ ტერიტორიების გარეშე, 550-600 ათასი ჰექტარი გამოდის, ოღონდ იმ პერიოდისთვის, სანამ საკაშვილი ქართული მიწის კატეგორიის შეცვლას და გაყიდვას დაიწყებდა. ახლა ამდენიც აღარ გვაქვს, რადგან 50.000 ჰა უკვე გაყიდულია, მაქსიმუმ 550.000 ჰა არის დარჩენილი. ეს არ არის ზუსტი ციფრი, სადღაც 10%-ია ცდომილება, რადგან ბოლომდე შესწავლილი არ გვაქვს, აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ზუსტ მონაცემებს მალავს. მიწების აღრიცხვა, ასე ვთქვათ, ინვენტარიზაცია არ მომხდარა, არადა საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ ითხოვს, რომ ყველა თვითმმართველობამ, იქნება ეს ქალაქი, დაბა თუ სოფელი, ჩაატაროს მიწების აღრიცხვა და მონაცემები, სადღაც 0,01% ცდომილებით, სტატისტიკის სამსახურს გადასცეს. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია იცოდეს რა რაოდენობის მიწას ვფლობთ და რა ხდება ამ მიწის გარშემო. ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, რომ ის 500 თუ 550 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დღევანდელი ფასებით სამწუხაროდ, 5-6 მილიარდ ლარამდე ღირს, რაც 2-2,5 მილიარდი დოლარის ტოლფასია. ასე რომ, ნებისმიერ არაბ, ირანელ თუ სხვა უცხოელ მილიარდერს, ერთ ადამიანს შეუძლია მთელი საქართველო იყიდოს, მერე სხვებზე გადაყიდოს თუ ჩვენ დაგვიყენებს მონებად, მისი გადასაწყვეტია. ამიტომაა აუცილებელი ჩვენი მიწების აღრიცხვა და მისი კონსტიტუ-

ციით მკაცრი რეგულირება, რომ ყოველგვარი რისკფაქტორი გამორიცხოს.

- იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფერი კონსტიტუციაში ჩაიწერება, მაგრამ რა ეშველება იმ მიწებს, რომელიც უკვე გასხვისებულია უცხოელებზე?

- კონსტიტუციაში თუ ჩაიწერა აკრძალვების შესახებ, ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. რაც შეეხება გაყიდულ მიწებს, მთელს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია მიწის ნაციონალიზაცია. არც ნაციონალიზაციის შესახებ კანონის მიღებაა პრობლემა, ხელისუფლებამ რომც არ მიიღოს ეს კანონი, რეფერენდუმის საშუალებით მოხდება მისი მიღება. რეფერენდუმის ჩასატარებლად 200.000 ადამიანის ხელმოწერაა საჭირო, დარწმუნებული ვარ ამაზე გაცილებით მეტი ხელმოწერა შეგროვდება. თუ ხელისუფლება არ გამოიჩენს კეთილ ნებას, ხალხის ნება ამოქმედდება და ვინც ამ ნებას არ ითვალისწინებს, კარგად მოგეხსენებათ როგორც ამთავრებს თავის „მოღვაწეობას“. კატასტროფის წინაშე ვდგავართ, თუ ასე გაგრძელდა ქართული მიწების გასხვისება, ერთი საუკუნეც არ არის საჭირო, რომ საქართველომ თუნდაც იმ სახით, როგორც დღესაა აღარ იარსებოს, 10-15 წელიწადში შეიძლება ქართულ სახელსა და გვარზეც კი ვეღარ განაცხადო პრეტენზია, არათუ მოქალაქეობასა და სახელმწიფოებრიობაზე, ამისი მწარე მაგალითი თუნდაც თურქეთში მცხოვრები ქართველები არიან. აგრესიული ისლამის წარმომადგენელი თურქების მიერ შედგენილ რუკაზე საქართველო, როგორც სახელმწიფო არ არსებობს, თურქეთის პროვინციაა. შედარებით რბილი პოლიტიკის მქონე თურქების რუკაზე, საქართველო კი არსებობს, მაგრამ აჭარის გარეშე, აჭარა თურმე თურქეთის ულამაზესი კუთხეა ქალაქ ბათუმით. ერთი რამ ძალიან მაინტერესებს, სირიელი ლტოლვილები (6 თუ 8 მილიონი ადამიანი) რომ შევიდნენ ევროპაში, რის შემდეგაც კატასტროფულად იმატა ევროპის ტერიტორიაზე ტერაქტების რიცხვმა, რა გარანტია გვაქვს, საქართველოშიც იგივე არ განმეორდება, ასეთი წარმატებით რომ ვახორციელებთ არაბების, ირანელებისა თუ თურქების „იმპორტს“? Lლტოლვილები ფაქტობრივად ძალით შევიდნენ ევროპაში, საქართველოში კი ევროკავშირისა და ნატოს დადგენილებით, შენი ნებით შემოგყავს. ვიცით ვინ არიან ეს ხალხი, მასიურად რომ ყიდულობენ ქართულ მიწებს, რა კავშირი აქვთ ისლამურ სახელმწიფოსთან, არავითარი კონტროლი და მექანიზმი არ არსებობს ხალხო, აქედან გამომდინარე, არც იმის გარანტია არ არსებობს, რომ ერთ დღეს ეს გამასპინძლებული სტუმრები ულამაზეს საქართველოს უდაბნოს არ დაამსგავსებენ. ამათ სისხლში აქვთ, ერთ დღეს შეიძლება ეს მშვიდობიანი მოქალაქე რადიკალად იქცეს, ვითომდა სამოთხეში მოსახვედრად თავი აიფეთქოს და უდანაშაულო ხალხიც თან გაიყოლოს. საქართველოსთანა პატარა ქვეყანას სულ არ უნდა ომი, ერთი პატარა ტერაქტიც საკმარისია, რომ ბევრი ქართველი უკანმოუხედავად გაიქცეს აქედან, სამწუხაროდ მრავლად გვყავს ასეთი ქართველები. არ გამოვრიცხავ, ეს ნაღმიც იყოს ჩადებული ისლამური სამყაროს წარმომადგენელთა მასობრივ შემოდინებაში, რომ საქართველო აბორიგენი მოსახლეობისგან დაიცალოს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სანამ გონებას დაკარგავდა, გოგონამ თქვა,რომ მის შემდეგ ბიჭი გადმოხტებოდა, რაც უკვე მოხდა...

ონლაინ თამაშის კიდევ ერთი მსხვერპლი? – რაღას ველოდებით? დადგეს ეს საკითხი პარლამენტის დონეზე და დაიბლოკოს ბავშვისთვის ზიანის მომტანი საიტები



რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში აღელვებული ქალბატონი დაგვიკავშირდა და საგანგაშო ინფორმაცია გაგვიზიარა. ქალბატონის თქმით, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა, ქართველ ბავშვებსა და მოზარდებში გახშირებული სუიციდის შემთხვევები რაღაც ახალ, ფსიქოლოგიურ იარაღს უკავშირდება, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება და მოზარდის ფსიქიკაზე დამანგრეველ შედეგს ახდენს. ფსიქოლოგიური იარაღი ჩვეულებრივი ონლაინ თამაშის სახით ვრცელდება. თამაშის დაწყების შემდეგ, სიცოცხლით სავსე, მხიარული ბავშვები ერთბაშად იცვლებიან, საკუთარ თავში იკეტებიან და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ განგაშს ვტეხდეთ და მომხდარის მიზეზებს ვარკვევდეთ, პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ვართ ჩაბმული და ბავშვები ბედის ანაბარა გვყავს მიყრილი. ჩემი ინფორმაციით, იაშვილის კლინიკა დიდი სიმაღლიდან გადმომხტარი და დამტვრეული ბავშვებით სავსეა, მაგრამ სტატისტიკა იმალება- განაცხადა ქალბატონმა.

— არავისთვის საიდუმლო არ გახლავთ, რომ ბოლო წამდენიმე წელია, საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა სუიციდის შემთხვევები გახშირდა. კარგი მშობლების შვილები, ნორმალურ ოჯახებში აღზრდილი წარმატებული ბავშვები, რომლებიც რაიმე სექტებთან კავშირში შემჩნეულები არასოდეს ყოფილან, ერთბაშად იცვლებიან, უცხოვდებიან და საკუთარ თავში იკეტებიან. ჩვეულებრივზე მეტ დროს ატარებენ კომპიუტერთან და გარეთ, ბავშვებთან თამაშის ყოველგვარ სურვილს კარგავენ. სამწუხაროდ, ყოველდღიური პრობლემებით დატვირთული მშობლები ყოველთვის დროულად ვერ ამჩნევენ შვილის ცვლილებას. ზოგი ამჩნევს, მაგრამ ასაკობრივ პრობლემებს უკავშირებს და დიდ ყურადღებას არ აქცევს. ამის შემდეგ კი ხდება ის, რისი მომსწრეც ბოლო წლების მანძილზე არა ერთხელ გავმხდარვართ. ამასწინათ, სოციალურ ქსელებში წავიკითხე ინფორმაცია ინტერნეტ-თამაშზე, რომელსაც ბავშვები თვითმკვლელობამდე მიჰყავს და ბევრი რამ მენიშნა..

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ ინტერნეტ-თამაშს გულისხმობთ და როგორ შეუძლია მას ბავშვისთვის ზიანის მიყენება?

— სინამდვილეში ეს არის ონლაინ თამაშის სახით შენიღბული ფსიქოლოგიური იარაღი, რომელსაც ასაკობრივ ჯგუფებზე ცდიან. თამაში, რომელსაც „ლურჯი ვეშაპი“ ქვია, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მას ძირითადად, 13-დან 16 წლამდე ბავშვები თამაშობენ.

ეს არის ვირტუალური კონტაქტი გაურკვეველ ადამიანებთან, რომლებიც 50 დღის განმავლობაში ბავშვებს სხვადასხვა დავალებებს აძლევენ და ბოლოს სიმაღლიდან გადახტომის გზით, თვითმკვლელობისკენ უბიძგებენ. ამ თამაშის გავლენით, უკრაინასა და ყირგიზეთში უამრავმა ბავშვმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. საქართველოში შედარებით ახალი შემოსულია, თუმცა შედეგები უკვე არსებობს.

— რაიმე კონკრეტულ შემთხვევას გულისხმობთ?

— დიახ. ორიოდე დღის წინ იაშვილის კლინიკაში თანამშრომლის შვილის მოსანახულებლად გახლდით, როცა პატარა გოგონა შემოიყვანეს, 12-13 წლის ბავშვი. როგორც თქვეს, კარგი მშობლების შვილი, მშვენიერი მოსწავლე, ზრდილი და მორიდებული გოგონა სრულიად უმიზეზოდ, ფანჯარაზე ავიდა და მეხუთე სართულიდან გადახტა. მოგვიანებით გავიგე, რომ მეორე დღეს იაშვილის კლინიკაში სუიციდის მცდელობით, კიდევ ორი ბავშვი მოხვდა. თბილისში უკვე გახშირდა საუბარი იმაზე, რომ ბავშვებს სოციალური ქსელებიდან ვიღაც მართავს, ამიტომ მშობლებს ვთხოვ, გააკონტროლონ შვილების კომპიუტერი და მობილური ტელეფონი. საზღვარგარეთ ამ საკითხით უკვე სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. სანამ ამაზე ჩვენთანაც იფიქრებენ, ჩვენ მაინც ვაკონტროლოთ მათი მიმოწერა და კონტაქტები. ჩემი აზრით, 5-10 წლის ბავშვს კომპიუტერსა და სოციალურ ქსელებში, სადაც ათასი პედოფილი და სხვადასხვა გადახრების მქონე ადამიანი ზის, არაფერი ესაქმება.

— ალბათ იცით, რომ საგანმანათლებლო მიზნით, სახელმწიფო ყველა მოსწავლეს კომპიუტერს ჩუქნის..

— გასაგებია, მაგრამ სოციალურ ქსელებთან და საშიშ საიტებთან წვდომა რომ შეიზღუდოს, ეს მაინც ხომ შეიძლება? რაღას ვუყურებთ? დადგეს ეს საკითხი პარლამენტის დონეზე და დაიბლოკოს ბავშვისთვის ზიანის მომტანი საიტები. განათლების სამინისტრო კომბლეს კი არ უნდა ებრძოდეს, იმ საფრთხეებს უნდა აცნობიერებდეს, რაც ინტერენეტსა და გლობალურ ქსელებს მოაქვს.. როგორც ვიცი, საზღვარგარეთ ასეთ საკითხებს მკაცრად აკონტროლებენ, ჩვენ კი მშვიდად ვუყურებთ, როგორ იღუპება მომავალი თაობა. ვფიქრობ, სიმშვიდის დრო არ არის. განგაშია ასატეხი,რომ ბავშვები გადავარჩინოთ.



ქალბატონის თქმით, სანამ გონებას დაკარგავდა, იაშვილის კლინიკაში მიყვანილმა გოგონამ თქვა, რომ მის შემდეგ ბიჭი გადახტებოდა. ბუნებრივია, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, იაშვილის კლინიკას დავუკავშირდით, სადაც ფანჯრიდან გადმოვარდნილი 12 წლის გოგონას მიყვანის ფაქტი დაგვიდასტურეს, თუმცა ბავშვთა სუიციდის ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემების გამჟღავნებისგან თავი შეიკავეს. მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ 29 მაისს იაშვილის კლინიკაში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი 13 წლის ბიჭი მიიყვანეს, რომელიც დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნილი გახლავთ და ყელი აქვს დაზიანებული. ამბობენ, რომ ბავშვი მუხიანში, წყალსადენის უზარმაზარი მილების სიახლოვეს თამაშობდა. ფეხი აუცდა და დიდი სიმაღლიდან შემთხვევით გადმოვარდა, თუმცა გოგონას გაფრთხილების შემდეგ, რომ „შემდეგი“ ბიჭი იქნებოდა, შემთხვევითობის აღარავის ჯერა. მით უმეტეს, რომ იმავე წყაროს ინფორმაციით, ბოლო კვირის განმავლობაში იაშვილის კლინიკაში სიმაღლიდან გადმოვარდნილი მოზარდების მიყვანის მეექვსე შემთხვევა გახლავთ.

რაც შეეხება „ლურჯ ვეშაპს“, გავრცელებული ინფორმაციით, ეს გახლავთ რუსული ონლაინ თამაში, რომელმაც 2015-2016 წლებში 130 მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბოლო წლებში თამაში რუსეთის საზღვრებს გასცდა. უკრაინის, ყაზახეთისა და დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა მოზარდების სუიციდის რამდენიმე შემთხვევა სწორედ ზემოთხსენებულ თამაშს დაუკავშირეს. ცნობილია, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით თამაშის ავტორი ფილიპ ბუდეიკინი დააკავეს, რომელმაც განაცხადა, რომ თამაშის შექმნის მიზანი საზოგადოების ბიოლოგიური ნარჩენებისგან გაწმენდა იყო.

თამაშის შემქმნელის დაჭერისა და მსოფლიოს კიბერუსაფრთხოების სამსახურების მცდელობის მიუხედავად, „ლურჯი ვეშაპი“ თავისუფლად განაგრძობს “ცურვას“ გლობალურ ქსელებში. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთის კიბერუსაფრთხოების სამსახურებმა სოციალურ ქსელებში„ლურჯი ვეშაპის“ ჯგუფი აღმოაჩინა და დაუყოვნებლივ მის ბლოკირებას შეუდგა, თუმცა, ჯგუფების რაოდენობა მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება..

ნელი თორდია
571 35 36 88

გამოცდების გამო ვცდები...

ყველამ ვიცით, ალბათ, რა საერთო იყო ბუზსა და მინისტრს შორის – ერთი გაზეთით ორივეს განადგურება შეიძლებოდა.

ახლა, ბუზი იცოცხლე, ბუზზე მოქმედებს, მინისტრებს კი გაზეთი რამეს რომ აკლებდეთ, რაც მე ჯეჯელავას ვუყეფ, ქარავანს კი არადა ესკადრონს გავაჩერებდი აქამდე.

უკან მოვიტოვეთ 11 ათასი მოსწავლე, უკან მოვიტოვეთ 11 ათასი ატესტატი და მაინც ამაყები ვართ, მაინც მხნედ ვარ, მაინც ვერაფერს ვხედავთ საგანგაშოს.

11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა – მერე რაო...

თქვენა და – მილიონიდან და ორი მილიონიდან კი არ ჩაიჭრა 11 ათასი – 47 ათასიდან ჩაიჭრა 11 ათასი და 25 პროცენტია ლამის ეს.

მართალია, ეს გამოცდების ბრალი კი არა, გაუნათლებლობის ბრალია, იმიტომ, რომ მასწავლებლების განათლების დონეა დაბალი, მაგრამ მომავალ წელს შეგიძლიათ ისევ იაროთ 12–ე კლასში და ფულიც უნდა გადაიხადოთ „ჩარჩენის“ და მე–13 წელის სანაცვლოდო.

რაში უნდა გადავიხადოთ ფული, ბატონო მინისტრო? იმ მასწავლებლის მოსასმენად, რომელიც, როგორც ამბობთ, არაპროფესიონალია?

რა არ გყოფნით, ხალხნო? თერთმეტ წელიწადში გვაძლევდნენ საშუალო განათლებას, თორმეტ წელიწადში რა ვერ უნდა ასწავლოთ? რით ვერ უნდა ასწავლოთ?

იცით, კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდებათ მასწავლებლებსო...

ნუთუ? და მერე? დაგიშალათ ვინმემ? თუ ჩვენგან ითხოვთ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას?

რა კვალიფიკაცია, რის კვალიფიკაცია – სასერტიფიკაციო გამოცდებს ვერ აბარებენ წლობით.

ზრდასრული ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და ამ საგანში სწავლების გამოცდილება – ვერ აბარებს სასერტიფიკაცია გამოცდას, მაგრამ აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას – მშვენიერია – თუ პედაგოგი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩაუბარებელ გამოცდაზე და აგრძელებს დაგეგმილ პროფესიულ საქმიანობას – ჩაჭრილმა მოსწავლეებმაც გააგრძელონ დაგეგმილი მომავალი – სინჯონ თავი ეროვნულ გამოცდებზე – იქნებ ეროვნული გამოცდები უფრო ადვილია, ვიდრე საატესტაციო?

ან, ჩააბარა ერთმა მასწავლებელმა სასერტიფიკაციოა გამოცდა, მეორემ – ვერა. მოხდა ჩემი შვილია ამ სამჯერ ჩაჭრილი მასწავლებლის გაკვეთილზე. სხვსი შვილის კლასში შედის სერტიფიცირებული პედაგოგი – რა გამოდის? კარგი და ცუდი მასწავლებლები გვყოლია და კარგი და ცუდი მასწავლებლის მომზადებულ ბავშვებს ერთნაირად ვთხოვთ საგნის ცოდნას?

კაი რა, ჩვენ ცოდნას კი არ ვამოწმებთო – ჯეჯელავამ, არაა, ჩვენ ვამოწმებთ, რამდენად შეუძლიათ ცოდნის გამოყენებაო.

როგორ სულ გამოყენებაზე ბრძანდებით, ბატონო მინისტრო?

ანუ, იმ 11 ათას ახალგაზრდას ცოდნა კი აქვს, უბრალოდ ვერ გამოიყენეს?

ისა და, ეგ ცოდის გამოყენების ამბავი უნდა დაჰყოლოდა, უნდა ესწავლა თავისით – თუ უფრო ბედ–იღბალის ბრალია?

ნაცარს მოგიგროვებდით, დარწმუნებული რომ ვიყო გაქექავდით – მაგრამ ეჭვი მაქვს გაქექვაც არ გეცოდინებათ.

ძალიან ცუდია როცა 47 ათასიდან 11 ათასი მოსწავლე ჩაიჭრება, მაგრამ ბევრად სახიფათო ისაა, რომ განათლების მინისტრს ეს საგანგაშოდ არ ეჩვენება – პირიქით, ნორმა ჰგონია.

მე მაინტერესებს იმ 11 ათასი მოსწავლიდან რამდენის მშობელი დაიაბარა პედაგოგმა და უთხრა, რომ მისი შვილი ვერ შეძლებდა „ცოდნის გამოყენებას“ საატესტატო გამოცდაზე?

თუ მასწავლებელიც ვერ ატყობდა?

გეუბნებით, ბატონო მინისტრო – რა ცოდნა, რის გამოყენება – ბედ–იღბალზე ჰკიდია დღეს აბიტურიენტების განათლება – მთავარია, როგორი პედაგოგის კლასში მოხდებიან – ჩაჭრილ–უცოდინარის, თუ, მცოდნე და გამოცდაჩაბარებულის.

ანუ, ცოდნის გამოყენებაც არაფერს შუაშია – იღბალმა უმტყუნა იმ 11 ათას მოსწავლეს, უბრალოდ.

დაიბარეს ერთი ჩემი ნაცნობი თბილისის სკოლაში შვილის „უმსგავსო ქცევის“ გამო. მივიდა ოპერატიულად – უთხრეს მასწავლებელი ზუსტად თქვენი შვილის კლასში გაკვეთილს ატარებს და დაელოდეთო. ხედავს – ფანჯრიდან ხტება ერთი მოსწავლე – ახლოს მივიდა – ესმის სტვენა, სიცილი, ბავშვების ხმა: ზოგი კამათობს, ზოგი საქმეს არჩევს, ზოგი ერთობა. იფიქრა, მასწავლებელი გასულია ეტყობაო და კარი შეარო – ხედავს, ზის თავისთავის მასწავლებელი მშვიდად, უზრდოდ და მორიდებულად.

ასეთი გაკვეთილი შემდეგ რა „უმსგავსო“ და რა „მსგავსი“ ცოდნა გინდათ რომ ჰქონდეს ბავშვო – დღემდე კითხულობს ამაოდ.

იკითხა ჩემმა მეორე მეგობარმა სწავლის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ მათემატიკის მასწავლებელთან მეექვსე კლასელი შვილის ცოდა–უცოდინრობის ამბავი – არ ვიცი, აბა, საიდან ვიცი, მითხრეს თქვენს შვილს ასთმა აქვს და გაკვეთილს არც ვეკითხები, ცუდად არ გახდეს, მეშინიაო – მასწავლებელმა,

სასაცილო იქნებოდა ძველ დროში, აი, ბუზი და მინისტრი ერთი გაზეთით რომ შეგეძლო გაგენადგურებინა. ახლა რა გამაცინებს.

მე კარგად მახსოვს ჯეჯელავას ტრენინგები – სადაც მასწავლებლების „ჩამორჩენილ და საბჭოურ“ აზროვნებას დასცინოდა – ამიტომ არ მიკვირს რომ არც მათ გადამზადებაზე იზრუნებს, არც სერტიფიცირებაზე – რაში სჭირდება მათი გადამზადება, რომლებზეც უკვე ხელი აქვს ჩაქნეული...

არიქა მოსწავლეები იღლებიან გაკვეთილებზე და მასაჟი უნდა გაუკეთოს მასწავლებელმაო – ვაი, ჩვენს პატრონს – ანუ, თქვენ – ფიზიკის და ქიმის ლაბორატორიები არა აქვთ სკოლებს, რა დროს მასაჟის კაბინეტია დირექტორის კაბინეტის გვერდით.

11 ათას მოსწავლეს კი 3 წელი დავაკარგვინეთ – სამი უაზრო წელი, სამი წელი პედაგოგებთან იმ საგანს გადიოდნენ, რომელშიც ზღვარიც ვერ გადალახეს – 3 წელიწადში რამდენ რამეს ისწავლიდნენ, რამდენ რამეს გაკეთებდნენ. ახლა 11 ათასი მოსწავლიდან ყველამ რომ თავის სკოლას უჩივლოს – ცოდნა არ მომცა, სამი თვე დამაკარგვინა და არც გამაფრთხილა და გამაგებინა წინასწარ ჩემი ცოდნის დონეო – კარგი პრეცედენტი იქნება, ნამდვილად.

რა გამოდის, გამოცდების გამო ვცდებით?

ერთმა იულის კეისარმა ათასობით მეომარს გაადაალახვინა რუბიკონი – ჩვენთან კი ათასობით მასწავლებლებმა საატესტატო გამოდების ზღვარი ვერ გადაალახინეს მოსწავლეებს.

რა კარგი დრო იყო, როცა ერთი გაზეთით ბუზის განადგურებაც შეგეძლო და მინისტრისაც.

სტატიით თუ ვერ მოვერევი, უნდა დავახვიო მერე გაზეთი და ... დაველევნო ვითარცა ბუზს...

თამუნა კუშელავა
555 46 08 04

„სასტუმროებად“ ქცეული „ღამის ავტობუსები“ და მათი უცნაური ბინადრები

2016 წელს თბილისის მერიისა და სატრანსპორტო კომპანიის ინიციატივით, სადგურის მოედნიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით, სპეციალური ღამის რეისი დაინიშნა, რომელზეც მგზავრების გადაადგილება 23:00 საათიდან დილის 07:00 საათამდე არის შესაძლებელი.

რა ხდება ღამის რეისებზე მოძრავ ავტობუსებში და რატომ იქცნენ ისინი უსახლკარო ადამიანების თავშესაფრად, მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ პაჭპაჭური გვიამბობს:

— როგორც იცით, დედაქალაქის მერიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, **Man**-ის მარკის ძვირადღირებული ავტობუსები შეისყიდა. ავტობუსში კონდიცირების სისტემა მუდმივად 22 გრადუსზეა დაპროგრამებული, რაც ზამთარ-ზაფხულ თანაბარი და კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ახლახან, ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ ღამის რეისზე მომუშავე ამ ძვირადღირებულ ავტობუსებში უსახლკარო ადამიანებმა დაიბუდეს და ისინი ფაქტობრივად, სასტუმროებად არის ქცეული..

— მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები ამ ადამიანებს ბილეთების აღებას არ თხოვენ?

— საქმე ის გახლავთ, რომ ღამის საათებში ავტობუსებს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები არ დაჰყვებიან. ამით სარგებლობენ უსახლკარო ადამიანები და ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე ავტობუსებს უფასოდ დაჰყვებიან. ბუნებრივია, ქუჩაში დაძინებას ავტობუსში დაძინება ურჩევნიათ.. მონიტორინგის სამსახური არ აწუხებთ, მძღოლს უფლება არა აქვს, რომ ბილეთი ან ავტობუსიდან ჩასვლა მოთხოვოს და ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ. ეს არის უფასო ნომრავი სასტუმრო. №37 ავტობუსი 50 წუთიანი ინტერვალით მოძრაობს და ბოლო გაჩერებაზე კარგად გამოძინებასაც ახერხებენ.

ჩემი აზრით, ეს ადამიანები ადრე, მოსკოვის გამზირზე გაშლილ კარვებში ცხოვრობდნენ. შემდეგ ისინი ლილოში გადაიყვანეს, სადაც კორიდორული სისტემის სახლები და პატარა ოთახებია. არ ვიცი, ოთახები არ მოწონთ თუ ლილო ეშორებათ, მაგრამ ზოგიერთებს ავტობუსი ურჩევნიათ და მე იმას ვამბობ, რაც საკუთარი თვალით ვნახე.

მე ავტობუსს 2-3 წრეზე გავყევი და რასაც დავაკვირდი, ბილეთი მხოლოდ ორმა თუ სამმა მგზავრმა აიღო. დანარჩენები უბილეთოდ ადი-ჩამოდიოდნენ. პრობლემა იცით, რა არის? ამხელა, ძვირადღირებული ავტობუსები უზარმაზარ საწვავს ტყუილად წვავენ და მეორეც, – როგორც ვიცი, რომ ადრე ამ ლურჯ ავტობუსებზე მძღოლად მიღებისთვის პარლამენტის დონეზე ჩარევა იყო საჭირო, ახლა კი აქ მუშაობა აღარავის უნდა. „ყვითელი ავტობუსის“ მძღოლებისაგან განსხვავებით, ყოველ დღე, ცვლებით მუშაობენ. სამსახურში მისვლაზე და ავტობუსის გამოყვანაზე თითქმის 2 საათი ჭირდებათ, ამდენივე დრო ცვლის ჩაბარებაზე ეხარჯებათ. ასვლა-მოსვლაში დაკარგულ ოთხ საათს თუ მუშაობის რვა საათსაც დავუმატებთ, სამსახურში გატარებული 12 საათი გამოდის, რაც ძალიან დამღლელია. ხომ შეიძლებოდა, ერთ მძღოლს ერთი დღე ემუშავა და მეორე მძღოლს მეორე? ჩემი ინფორმაციით, სულ უფრო მეტი მძღოლი არჩევს „ყვითელ ავტობუსებზე“ მუშაობას, სადაც ნაკლები ხელფასია, მაგრამ ბევრად მისაღები გრაფიკი. კარგი იქნება, თუ ვინმე ამ პრობლემებზე დაფიქრდება, ღამის რეისებს შეამოწმებს, მძღოლებს გაესაუბრება და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

იუვენალური ფაშიზმი

იუვენალური იუსტიციის მიღებისა და გავრცელების მთავარი მიზნებია შობადობის შემცირება მსოფლიოში, ოჯახების კონტროლი და ტერორი, საერთოდ ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, ბავშვებით, ასევე მათი ორგანოებით ვაჭრობის სარფიანი ბიზნესი, ბავშვების რეკრუტირება, ანუ მათი აღზრდა იმ კრიტერიუმებით, რომელსაც აყალიბებენ იუვენალები და მათი ლობისტები. ამის გამო დასავლეთში ამ იუსტიციას „იუვენალური ფაშიზმი“ დაარქვეს.

გერმანია ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ ამ ბოლო დროს ამ ქვეყანაში სულ უფრო ხშირად ისმის აღშფოთებული მშობლების პროტესტი, რომელთაც ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საქმეთა ადგილობრივი სამმართველოები ართმევენ საკუთარ შვილებს და ათავსებენ მათ ინტერნატებში ან შეძლებულ ოჯახებში. ყველაზე საშინელი ის არის, რომ მშობლებს შვილებს ართმევენ კანონიერი გზით. ოჯახური სასამართლოს გადაწყვეტილებით. როდესაც ამგვარი რამ გესმის, არ იჯერებ ფიქრობ, რომ აქ ლაპარაკია რომელიღაც ასოციალურ ოჯახებზე, სადაც ბავშვებს არ აჭმევენ, არ ზრდიან, უხეშად ეპყრობიან და ძალადობენ. სულაც არა, „მზრუნველი“ ორგანოთა გულმოდგინე მუშაკები ბავშვებს ართმევენ სრულიად ნორმალურ ოჯახებს, აბსოლუტურად დაუსაბუთებელ მიზეზთა საფუძველზე. ბავშვების წართმევის დროს, ეს მიზეზი ისეა მოდელირებული, რომ შემდეგ შესაძლებელი იქნას ოჯახიდან ბავშვის წამოყვანის გადაწყვეტილების „სწორი“დასაბუთება. აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება სიცრუე და ცილისწამება. ბავშვთა წართმევა ხდება მოულოდნელად, ხშირადშურისძიებით აღძრული ნათესავის, მეზობლის, ექიმის, საბავშო ბაღის აღმზრდელის ან სკოლის მასწავლებლის წერილობითი დასმენის შედეგად. დამსმენთა მიერ წერილებში აღწერილი „ფაქტების“ სინამდვილე უმეტეს შემთხვევაში არ მოწმდება. სამეურვეო ორგანოთათვის საკმარისია ეგრეთ წოდებული „სიგნალი“ რათა დაიწყონ ოჯახიდან ბავშვის წაყვანის პროცედურა.

პრაქტიკულად ყველა დაზარალებული ოჯახი სამეურვეო ორგანიზაციათა მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს - „თქვენ ან ნებაყოფლობით მოაწერთ ხელს თქვენი შვილის მეურვეობის ქვეშ გადაყვანაზე ან მას ვერასოდეს იხილავთ!“ ბავშვების წართმევა ხშირად სრულიად ნორმალური და სოციალურად ინტეგრირებული ოჯახებიდანაც ხდება.

ბავშვებს უმეტესწილად ათავსებენ დაწესებულებაში რომელიც მისი სახლიდან ასი ან უფრო მეტი კილომეტრითაა დაშორებული... ბოროტების ფესვი იმაშია, რომ ახალგაზრდობის საქმეთა ადგილობრივ სამმართველოთა მუშაკები პასუხს არ აგებენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. რაც შეეხება სასამართლოს, მოსამართლეს უბრალოდ ეშინია გამოიტანოს არასწორი გადაწყვეტილება. ამიტომაც ის პრაქტიკულად ყოველთვის ენდობა სამეურვეო ორგანოს „ექსპერტთა“ მიერ მიღებულ ინფორმაციასა და გადაწყვეტილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ორგანო, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა მშობლებს, დაიცავდა მათ უფლებას. ადვოკატის დაქირავება ძალზედ ძვირი ღირს... როგორც სამეურვეო ორგანოთა ერთმა მსხვერპლმა ბიჭუნამ განაცხადა - „მათ მე ჩემი ცხოვრების სამი წელი წამართვეს „წარმოუდგენელი ძალისხმევის შედეგად მოახერხა ამ ბიჭუნას დედამ შვილის დაბრუნება. ატეხა გაუგონარი ხმაური პრესასა და ინტერნეტში, დაიქირავა ადვოკატი, მიმართა ევროპარლამენტს, რათა ზემოქმედება მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ინტერნატში სამწლიანი ყოფნის შემდეგ საკუთარი შვილი დაებრუნებინა. დედას მოშორებული ბავშვი იმდენად იტანჯებოდა, რომ ვერ სწავლობდა, ვერ ჭამდა, ერთხელ დანის მეშვეობით თვითმკვლელობაც სცადა. ხოლო როდესაც ეს ვერ გამოუვიდა, დედასთან ერთ-ერთი მოკლე შეხვედრის დროს, მისი მოკვლა სთხოვა. მიუხედავად იმისა , რომ დედას შვილი დაუბრუნეს, ეშინოდა შვილი კიდევ არ წაერთმიათ და ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა-მან საერთოდ დატოვა გერმანია ბავშვთან ერთად. სწორედ იუვენალური იუსტიციის მეშვეობით ევროპაში ბოლო 20 წლის განმავლობაში ოჯახებიდან ათიათასობით ბავშვია წართმეული სახელმწიფოს მიერ. ოჯახისთვის წართმეულ ბავშვებს ათავსებენ იუვენალური იუსტიციის დაწესებულებებში, ერთგვარ საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ისინი ხშირად ხდებიან მათზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. ამ დაწესებულებებიდან ბავშვებს, როგორც წესი, აშვილებენ მშვილობელ, მიმღებ ოჯახებში, რომლებიც ამას ხშირად აკეთებენ სახელმწიფოსგან ბავშვის შენახვისათვის დაწესებული გასამრჯელოს, საფასურის გამო, და ხშირად ბავშვის მაგივრად მიღებულ თანხას საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ, ხოლო ბავშვებს აშიმშილებენ და ძალადობენ მათზე. ფართოდ არის გავრცელებული ჩამორთმეული ბავშვების გაშვილება ერთსქესიან “ოჯახებზე”, – სწორედ ეგრედ წოდებული. სექსუალური უმცირესობები არიან იუვენალური იუსტიციის ერთ-ერთი მთავარი ლობისტები. მაგალითისთვის, 2011 წელს გერმანიაში ოჯახებს წაართვეს და ერთსქესიან “ოჯახებს” გადასცეს 38 500 ბავშვი. ერთსქესიან “ოჯახებში” ბავშვები, როგორც წესი, ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთსქესიანი “ოჯახები” ერთმანეთში ცვლიან ნაშვილებ ბავშვებს სექსუალური ორგიებისათვის...ხშირია ჩამორთმეული ბავშვების გაუჩინარების შემთხვევები. მაგალითად რამდენიმე წლის წინ იტალიაში ოფიციალური მონაცემებით დაიკარგა 1500-მდე ბავშვი. ბავშვების გაუჩინარების ძირითადი მიზეზი არის ბავშვთა ორგანოებით ვაჭრობის მსოფლიო ბიზნესი.

საქართველოს პარლამენტმა ევროასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების ფარგლებში მიიღო კანონი: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ერთი შეხედვით ჰუმანური მიზნის საფარველით კანონმდებლობაში გასულ წელს შემოიტანეს „იუვენალური იუსტიციის“ ნორმები, რომელმაც ევროპა კატასტროფამდე მიიყვანა.

ჩვენს ქვეყანაში იუვენალური იუსტიციის-კანონმდებლობის მიღებამდე, 2006 წელს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიღებული იქნა სპეციალური კანონი„ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონში ცვლილებების მცდელობა, ჯერ კიდევ 2013 წელს ჰქონდათ (კანონპროექტის ინიციატორი იყო გუგული მაღრაძე). სწორედ ამ კანონის საფუძველზე 2012 წელს ქალთა კოლონიაში პატიმარს თ.ვ.-ს შვილი გულიდან ააგლიჯეს და ვიღაც ოჯახს ჩააბარეს, რომელსაც სახელმწიფო დაახლოებით ექვსას ლარს უხდიდა. გაშვილება მოულოდნელად, მოხდა კოლონიის ადმინისტრაციის პირადი შურისძიების საფუძველზე. ადმინისტრაციაში მოტყუებით აიყვანეს დედა-შვილი და შემდეგ ძალის გამოყენებით „მოგლიჯეს“ გულზე მიკრული ბავშვი და სოცმუშაკს გაატანეს. სცენამ, თვით გულქვა თანამშრომლებიც კი აატირა. აღარაფერს ვამბობ სამი წლის ბავშვის და დედის გულგამგმირავ კივილზე. დედა-შვილის ექვსთვიან წამებაზე სანამ შვილი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მის ძმას ჩააბარეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დედა შვილს შესანიშნავად უვლიდა და არ არსებობდა არანაირი მიზეზი მისთვის შვილი წაერთმიათ. ორი თვის შემდეგ ბავშვი „მშვილებელმა“ მოუყვანა სანახავად, საშინელი დათრგუნული, დაუბანელი, გამხდარი... ბავშვმა დედას უთხრა, რომ მას ცემდნენ რადგან უგემურ საჭმელს არ ჭამდა და ხშირად ტიროდა. აღნიშნულიდან ორ წელიწადში დედაშვილი ერთად იყვნენ სახლში, თუმცა ბავშვი დღემდე პერიოდულად გადის მკურნალობის კურსს ფსიქოლოგთან. მრავალი მაგალითიდან კიდევ ერთს მოვიყვან, დედა, რომელიც სამსახურს ვერ შოულობდა თვითონ მიმართა სოცმუშაკს და თოთხმეტი წლის ბიჭი სხვა ოჯახში „გაუმწესეს“ სახელმწიფო მშვილებელ ოჯახს 600-ლარს უხდიდა, აღნიშნული თანხა გაჭივრებული დედისთვის, რომ გადაეხადა სახელმწიფოს იმყოფინებდა, მაგრამ...მშვილებელ ოჯახს კიდევ ოთხი ახალგაზრდა ყავდა სახელმწიფოსგან „ნაშვილები“ და კახეთის ერთ-ერთ სოფელში დილიდან საღამომდე ამუშავებდა ახალგაზრდებს და ნორმალურადაც არ კვებავდა. თან სახელმწიფოსგან 3000 ლარს იღებდა. (ხუთი ყმაწვილის საფასურს) მე თვითონ შევესწარი რამოდენიმეჯერ დედა-შვილის სატელეფონო საუბარს- შვილი დედას სახლში დაბრუნებას თხოვდა... იუვენალური იუსტიცია სერიოზულად დააზარალებს საქართველოში ოჯახებს. ევროპის თუ რუსეთის მაგალითზე კარგად ვიცით, თუ რისთვის იყენებენ და სადამდე მივყავართ ამ სამართალს. ბავშვებს უმხედრებენ მშობლებს, შვილებს ართმევენ დედ-მამას და ეს „კანონის“ სახელით წარმოებული შეტევა თავისი არსით არის ოჯახის, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რატომ ჭიანურდება სასამართლო პროცესი იმ ავტოკატასტროფასთან დაკავშირებით, რომელსაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა?

რატომ არის საქართველოში რაგბისტობა ინდულგენცია?

2016 წლის ივლისის თვეში სამტრედია-ქუთაისის გზაზე შემზარავი ავტოკატასტროფა მოხდა, რომელსაც 4 ადამიანი ემსხვერპლა. როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, ავარია რაგბისტ მერაბ კვირიკაშვილის მიზეზით მოხდა, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. ავარიის შედეგად მისი მეუღლეც დაიღუპა.

საქმეზე გამოძიება, როგორც უფლებადამცველები იტყობინებიან, დასრულებულია, თუმცა დასჯილი ჯერ არავინ არ არის. მეტიც, ბატონი კვირიკაშვილი, არც დაუკავებიათ. გარდაცვლილების ახლობლები კი სამართალს დღემდე ამაოდ ელიან.

რა ხდება ამ საკმაოდ რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით? „საერთო გაზეთი“ ავტოავარიისას გარდაცვლილი გიორგი პაპასქირის მამის მალხაზ პაპასქირის ადვოკატს, ბატონ დავით დეკანოიძეს ესაუბრა.

— ბატონო დავით, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის ავბედითი შემთხვევა, რა მოხდა 2016 წლის ივლისში ქუთაისთან ახლოს?

— 2016 წლის 26 ივლისს თბილისი-ლესელიძის გზის ავტომაგისტრალზე უმძიმესი ავტოკატასტროფა მოხდა.

რაგბისტი მერაბ კვირიკაშვილი დიდი სისწრაფით მიმავალი ჯიპის X-5 მარკის ავტომანქანით მსუბუქ მანქანას შეეჯახა. შეჯახების შედეგად მსუბუქ ავტომანქანაში მჯდომი გიორგი პაპასქირი, მისი მეუღლე ნუცა კალანდარია და მათი ახლობელი გოგონა გარდაიცვალნენ. რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა ამ ავარიის დროს დაშავებული მერაბ კვირიკაშვილის მეუღლეც, ხოლო იმავე მანქანაში მჯდომ ორსულ ქალბატონს ნაყოფი დაეღუპა. ე. ი. გარდაიცვალა ოთხი ადამიანი და ბავშვი აღარ დაიბადა.

რამდენიმე დღე დასჭირდა იმის გარკვევას, თუ ვისი დაუდევრობით მოხდა ეს ავტოსაგზაო შემთხვევა. ბოლოს და ბოლოს ჩატარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები დარღვეული იქნა მერაბ კვირიკაშვილის მიერ და ამან გამოიწვია ეს საშინელი ტრაგედია.

ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მოწმეების დაკითხვა, სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები და საბოლოო ჯამში, გამოირიცხა გიორგი პაპასქირის ბრალეულობა. დასკვნაც გააკეთა ექსპერტიზამ.

მე მომეცა საშუალება, გავცნობოდი საქმის მასალებს, მუდმივად ვარ ჩართული ამ საქმის მიმდინარეობაში და გარკვეული დროის შემდეგ, როცა ვიკითხე, რა ეტაპზე იყო გამოძიება და რატომ ჭიანურდებოდა სავარაუდო დამნაშავისთვის ბრალის წაყენება, ან დაზარალებულების ასეთად ცნობა, აღმოჩნდა, რომ დაზარალებულად ცნეს გარდაცვლილების მშობლები.

— რამდენი ხნის წინ ცნეს დაზარალებულად გარდაცვლილების ახლობლები, ჩატარდა სასამართლო სხდომა?

— გარდაცვალებულთა მშობლები დაახლოებით, ორი კვირის წინ ცნეს დაზარალებულებად და აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო სხდომა უნდა ჩატარებულიყო, ე. ი. წინასწარ პატიმრობაში უნდა აეყვანათ კვირიკაშვილი, ან რაიმე სახის სხვა აღმკვეთი ღონისძიება უნდა გამოეყენებინათ.

პროკურატურამ მანამდე მიმართა სასამართლოს კვრიკაშვილის დაკავების შესახებ, ვინაიდან თვითონ ბრალდებულად იყო ცნობილი, მაგრამ, რატომღაც, სასამართლომ უარი განაცხადა მერაბ კვირიკაშვილის დაკავებაზე.

— რატომ?

— ვვარაუდობ, რომ შემთხვევიდან საკმაო დრო იყო გასული, სავარაუდო დამნაშავეს სხვა დანაშაული ჩადენილი არ ჰქონია ამ ხნის განმავლობაში და საერთოდ, ჩვენი კანონმდებლობა ჰუმანურია ბრალდებულთან მიმართებაში, როცა წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხს იხილავს.

სასამართლომ უარი განაცხადა, რადგან დრომ კვირიკაშვილის სასარგებლოდ იმუშავა.

— ბატონო დავით, გამოძიება რომელი მუხლით სდებს ბრალს მერაბ კვირიკაშვილს?

— სს/კ 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მერაბ კვირიკაშვილი ბრალდებულია. მის დანაშაულად ითვლება ავტომობილის ექსპლოატაციის წესების ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რამაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მუხლი 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

— ბრალდებული ფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომობილს?

— დადასტურებულია, რომ მერაბ კვრიკაშვილი საჭეს ფხიზელ მდგომარეობაში მართავდა, თუმცა გადაჭარბებული სიჩქარით მიდიოდა.

მას შემდეგ, რაც სასამართლომ პროკურატურას კვირიკაშვილის დაკავებაზე უარი უთხრა, პროკურატურამ მოითხოვა გირაოს გამოყენება აღკვეთის ღონისძიების სახით. სასამართლომ ბრალდებულს 15 000-ლარიანი გირაო შეუფარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მერაბ კვირიკაშვილი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომებზე, მისი 15 000 ლარი ბიუჯეტში გადაირიცხება.

— მე მაინც მიკვირს, რატომ არ დაისვა, ფაქტობრივად, ხუთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში ბრალდებული კვირიკაშვილის დაპატიმრების მოთხოვნა შემთხვევის მომენტიდანვე, ან თუნდაც უფრო მოგვიანებით?

— დიახ, მთელ ამ საქმეში საკვირველი ის არის, რომ ანალოგიურ, ან შედარებით მსუბუქ შემთხვევებშიც კი სავარაუდო დამნაშავეს მაშინვე აკავებენ.

რამდენიმე ხნის წინ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დამნაშავე მაშინვე აიყვანეს პატიმრობაში, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, როცა ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით მთავრდება, თითქმის ყველა შემთხვევაში დამნაშავე პირი პატიმრობაში აჰყავთ.

— თქვენი აზრით, რატომ არის ლმობიერი მართლმსაჯულება კვირიკაშვილის მიმართ?

— მე ვფიქრობ, რომ ვიღაცები ითვალისწინებენ მის სპორტულ კარიერას და ალბათ, თვლიან, რომ რაგბის თამაში ინდულგენციაა დანაშაულის შემთხვევაში.

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, თორემ, თავის დროზე მუჰამედ ალი დააპატიმრეს იმის გამო, რომ ჯარში სამსახურს თავი აარიდა.

ლიონელ მესი გადასახადების დამალვის გამო მართლმსაჯულებასთან დიდ შარშია გახვეული.

კანონი ყველა ქვეყანაში კანონობს, მაგრამ ჩვენთან რატომღაც არსებობენ პრივილეგირებული პირები, რომლებიც კანონს გარეთ მოქმედებენ.

მე, როგორ ადვოკატი და უფლებადამცველი, გარდაცვლილი გიორგი პაპასქირის ოჯახის წარმომადგენელი სასამართლოში, ვითხოვ სამართლიანობას, დამნაშავე უნდა დაისაჯოს კანონის შესაბამისად.

ამასთანავე, ჩემს გაკვირვებას იწვევს საზოგადოების ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენლის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. როგორც ამბობენ, ლევან ვასაძემ ამ შემთხვევის შემდეგ ახალი მანქანა აჩუქა მერაბ კვირიკაშვილს. სამწუხაროდ, ლევან ვასაძეს არ გახსენებია უდედმამოდ დარჩენილი ოთხი წლის კატო პაპასქირი, რომ მისთვის ეჩუქებინა თუნდაც კანფეტები, ეს უფრო მადლიანი საქმე იქნებოდა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

წყალტუბო

გამგებლის საგანგებო თათბირი წყალტუბოში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე მამისეიშვილმა გამგებლის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა, განიხილეს სოფლებში საგაზაფხულო სამუშაობის მიმდინარეობის, გამგებლის წარმომადგენელთა მიერ მიწის ნაკვეთისა და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის იდენტურობის დადასტურების, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხები. გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ ისაუბრა კიბოს უფასო სკრინინგის პროგრამის შესახებ, პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს ქუთაისში, ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრში შეუძლიათ უფასოდ ჩაიტარონ კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის გამოკვლევები. გამგებლის წარმომადგენლებს დაევალათ აღნიშნული ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელება.

გამგებლის მოადგილემ გენადი ბალაჩივაძემ 2017 წელში სოფლებში განსახორციელებლ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა.

გამგებლის წარმომადგენლებს დაურიგდათ საინფორმაციო სახის მასალები 2013-16 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროგრამებისა და პროექტების, ასევე 2017 წლის ბიუჯეტის სოციალური პაკეტის შესახებ, ინფორმაციები და ფოტომასალა სტენდებზე განთავსდება.

კულტურულ–საგანამათლებლო კვირეული წყალტუბოში

ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ინიციატივით ქალაქში კულტურულ-საგანამათლებლო კვირეული დაიწყო.

დღეს, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ნორჩ მუსიკოსთა აკადემიური კონცერტი ჩატარდა. რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე მოსწავლეებმა ძირითადად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულეს. ისმოდა ბახიც და შოპენიც.

განსაკუთებული მოწონება დაიმსახურა იმერეთის ხმა 2017 -ს პრიზიორმა დუეტმა მარიამ ქაჯაიამ და ლევან თუთბერიძემ. კონცერტზე დუეტმა რუსუდან სებისკვერაძის უბერებელი სიმღერა „სიყვარულთან თამაში“ იმღერა. ამ ბავშვებმა „იმერეთის ხმაზე“ მეორე ადგილი დაიკავეს. ნომინაცია - საუკეთესო ხმის ტექნიკა - მიიღო ლევან თუთბერიძემ. ასევე სენაკის მუსიკალურ ფესტივალზე წყალტუბოს სამუსიკო სკოლის 6 მოსწავლე: მარიამ ქაჯაია, ლევან თუთბერიძე, ანა ტყაბლაძე, გიორგი აბულაძე, ირაკლი დიასამიე და ანანო ციბაძე საპატიო დიპოლომებით დაბრუნდნენ უკან.

დღევანდელი კონცერტი სამუსიკო სასწავლებლის გუდმა მერი დავითაშვილის „მზეო ამოდით“ დააგვირგვინა. კონცერტს ესწრებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგარდობის საქმეთა სამსახურის უფროსი რიმა მარგიანი.

მსმენელს და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა - მარინა კვერნაძემ. „ დღეს აკადემიური კონცერტი ჩავატარეთ და ანგარში ჩავაბარეთ მსმენელებს. მიხარია რომ ასეთი წარმატებული სამუსიკო სკოლა გვაქვს წყალტუბოში და მადლობა თვითოეულ მოსწავლეს ხელოვნების ამ დარგის ასეთი სიყვარულისთვის, ჩვენ სულ ვასახელებთ ჩვენს ქალაქს,“ - აღნიშნა ქალბატონმა მარინა კვერნაძემ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

● „საპარტნიორო ფონდი“ ქართული მთის ღორის გადარჩენის პროექტს იწყებს. რაჭაში საფუძველი ჩაეყარა ევროპული ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისი მეღორეობის ფერმის მშენებლობას. რაჭული ღორის გადარჩენა 13 მილიონი დაჯდება.

● ჭრებალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭრებალოში ახალი კულტურულ-სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსი სავადმყოფოს ძველი შენობის ტერიტორიაზე აშენდება. კომპლექსის შენობა ექსპლუატაციაში 2017 წლის შემოდგომიდან შევა. აღნიშნული სამუშაოები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ გამგეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა.

ბაღდათი

ბაღდათის კომუნალური გაერთიანების სამსახური კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღვარცოფისგან დაზიანებულ მონაკვეთზე, სანიაღვრე ჭის მოწყობით სამუშაოებს აწარმოებს.

ხარაგაულის სოფლების გზებზე ბეტონის საფარი დაიგება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ჩხერისა და ვანის ცენტრალური გზის მოასფალტებაზე ტენდერი გამოაცხადა.

სოფელ ჩხერში ხარაგაულის ავტოსადგურის მხრიდან ასასვლელი გზის მონაკვეთი 1 კმ-სა და 300 მეტრზე მობეტონდება, ხოლო სოფელ ვანის ცენტრალურ გზას, 3 კმ-სა და 700 მეტრზე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

ბაღდათი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 981 280 ლარია.

ყვარელში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლეს

დიპლომატიური ტურის ფარგლებში ელჩები კახეთს ეწვივნენ. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ამჯერად ყვარელში იმყოფებოდნენ. დიპლომატიურ ტურში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში აკრედიტებულმა როგორც რეზიდენტმა, ისე არარეზიდენტმა ელჩებმა. ტურის ფარგლებში დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები გაეცნენ კახეთის რეგიონის როგორც ეკონომიკურ, ისე ტურისტულ პოტენციალს, „მეღვინეობა ხარებაში“ კი ქართული ღვინო და ეროვნული კერძები დააგემოვნეს.

სტუმრებს ყვარელში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, კახეთის მხარის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად დახვდნენ.

დუშეთი

დუშეთი – გრემისხევში ამბულატორიის რეაბილიტაცია დასრულდა

დუშეთის მუნიციპალიტეტის გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების პროექტის“ ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობითა და თანდაფინანსებით ამბულატორიის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ამ დრომდე, სათანადო პირობების უქონლობის გამო, გრემისხევის მოსახლეობისთვის ამბულატორიული მომსახურების მიღება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ამბულატორია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ისარგებლოს მრავალფეროვანი და სრულყოფილი მომსახურებით.

ამბულატორიის გარდა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით რეაბილიტირებულია აგრეთვე ადმინისტრაციული შენობა.

შესრულებული სამუშაოები დაათვალიერეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა, გამგეობის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებმა და „ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების“ რესურს-ცენტრის კოორდინატორმა ნანა წიკლაურმა.

„ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების“ პროექტს ახორციელებს ორგანიზაცია „ბრიჯ ინოვაცია და განვითარება“, „ევროკომისიის რისკების მიმართ მდგრადობის გაძლიერების პროგრამის“ **(DIPECHO)** ფარგლებში. დუშეთის მუნიციპალიტეტში საპილოტედ შერჩეულია გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეული.

ფოთის ხელოვნების სკვერში შადრევნის კეთილმოწყობა მიმდინარეობს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ხელოვნების სკვერში, შადრევნის მოწყობის სამუშაოები დაიწყო, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ტოტალი“ ახორციელებს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 74 ათას 340 ლარს შეადგენს.

ძლიერი საქართველოსთვის

აბაშა

აბაშა — გზის რებილიტაცია სუჯუნაში

სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის რებილიტაცია. აბაშა-კეთილარი-ჯაპანის გზის მე-3 კილომეტრზე გზის გაფართოებისა და დამცავი კედლების მოწყობის სამუშაოებს საგზაო დეპატრამენტი აწარმოებს.

მარტვილში ბზის ალურას ებრძვიან

მარტვილის მუნიციპალიტეტში ბზის ალურას საწინააღმდეგო წამლობის ღონისძიებები მიმდინარეობს.

წამლობა მუნიციპალიტეტის 5 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა, ამჟამად დამუშავებულია 120 ჰა ტერიტორია. წამლობის სამუშაოებს, სურსათის ეროვნული სააგენტოს მობილური რეაგირების ჯგუფი, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად მეტეოროლოგიური პირობებისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, თერმული ნისლის ტექნოლოგიით ახორციელებს.

მავნებელთა სალიკვიდაციო სამუშაოები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიზნობრივი ქვეპროგრამის — „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ — ფარგლებში მეორე წელია ხორციელდება.

ჩხოროწყუ — „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტისა „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ (მეორე ეტაპი). პროექტის მიზანია სრულწლოვანი პრობაციონერთა რესოციალიზაციისთვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობით, ბენეფიციარები მიიღებენ სხვადასხვა სერვისს. შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე და რეგიონებში დაგეგმილ სამომავლო ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა, გამგებლის მოადგილე ვალერი თოდუა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები.

საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა წალენჯიხაში

23 აპრილს ძლიერი ქარის შედეგად ზარალი მიადგა წალენჯიხის მუნიციპალიტეტს. ქარმა მუნიციპალიტეტში 12 მრავალბინიანი კორპუსის სახურავი და 70-მდე კერძო საცხოვრებელი სახლი დააზიანა. ზარალის ასანაზღაურებლად მთავრობის განკარგულების (№824) საფუძველზე გამოიყო თანხა 564 000 ლარის ოდენობით.

სახურავების გადასახური თუნუქი გაუნაწილდა დაზარალებულ მოსახლეობას, იმავდროულად, დაიწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა. სამუშაოები, რომლებიც უახლოეს მომავალში დასრულდება, ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ დაათვალიერა.

წალენჯიხა

რუსთავის მერი კორპუსის თავმჯდომარეებს ხვდება

რუსთავის მერი ჟიული შარტავას სახელობის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელსაც მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე „რუსთავის კორპუსის“ ხელმძღვანელი და მერის წარმომადგენელი ესწრებოდნენ, დავით ჯიქიამ მე-7 და მე-8 მიკრორაიონების საცხოვრებელი კორპუსების მოსახლეობის პრობლემები მოისმინა. ამ ფორმატით ქალაქის მერი უკვე მეორე შეხვედრას მართავს. ანალოგიური ფორმატით, წინა კვირას ქალაქის მერი მე-7 და მე-19 მიკრორაიონების კორპუსების თავმჯდომარეებს შეხვდა. მსგავსი შეხვედრები ყველა ტერიტორიული ერთეულის

თეთრიწყარო

მოსახლეობასთან, ეტაპობრივად, კვირაში ერთხელ გაიმართება.

ბოლნისში, სოხუმის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემა მოეწყობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა სოხუმის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის მიზნით ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლინდა. სატენდერო პირობების თანახმად, სამშენებლო სამუშაოებს შპს „რიგელი“ ივლისში დაიწყებს და აგვისტოს ბოლოს დაასრულებს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა წარმოადგენს.

2017 წელს 4 მილიონ ლარამდე სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება.

დმანისის ინფრასტრუქტურა წესრიგდება

ქალაქ დმანისში მიმდინარეობს ორი სკვერისა და მინისტადიონის მშენებლობა. დამონტაჟდება სკამები, დაიგება დეკორატიული ბაზალტის ბილიკები, მოეწყობა საბავშვო მოედანი ატრაქციონებით, სკეიტბორდის მოედანი, სასმელი წყლის სოკოშადრევანი, აუზი საშხეფი ონკანებით.

სკვერები შემოღობილია დეკორატიული ქვის ღობით და ნაწილობრივ კუთხოვანებში ჩასმული მავთულბადით. სკვერში ასევე მოეწყო სავარჯიშო ტურნიკები, მინისტადიონზე — საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნები.

აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს შპს „მეტრი“.

2-მილიონიანი პროექტი გორის მუნიციპალიტეტში

გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხურვალეთში, წითელუბანსა და შავშვების დევნილთა ჩასახლებაში მისასვლელ გზებზე ასფალტის საფარი იგება.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, მისი ღირებულება 1 855 000 ლარია. სამუშაოები სექტემბრის დასაწყისში დასრულდება.

ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი დაიგება:

სოფელ ხურვალეთში მისასვლელ გზაზე (4 293 გრძ/მ. და სიგანე — 6 მ.);

სოფ. წითელუბნისა (2197 გრძ/მ) და შავშვების დევნილთა დასახლებაში მისასვლელ გზაზე (701 გრძ/მ) 2 898 გრძ/მ. და სიგანე — 6 მ.);

საგზაო მიერთებებზე;

მოეწყობა, აგრეთვე, ეზოში შესასვლელები, გზის ორივე მხარეს ბეტონის ჩამკეტები და გვერდულები.

სამუშაოები ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ ხურვალეთში, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ონიაშვილმა და შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ სიმონ გულედანმა დაათვალიერეს.

თეთრიწყარო — შეხვედრები კოდისა და მუხათის მოსახლეობასთან

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე სოფ. კოდისა და მუხათის მოსახლეობას შეხვდა. ერეკლე კუხიანიძემ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია გამგებლის სათათბირო ორგანოს — სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. საბჭოს შემადგენლობის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია საბჭოს შემადგენლობა გამგებელს მოსახლეობამ არჩევნების შედეგად წარუდგინოს. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს მოსახლეობას, უშუალო კონტაქტი ჰქონდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

შუახევში იალაღების ელექტრიფიკაცია მიმდინარეობს

შუახევში, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, იალაღების ელექტრიფიკაცია მიმდინარეობს. პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნახევარ მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

იალაღებზე დენის მიწოდებისთვის სამუშაოები მერიაყელის, გრძელგორის, თაგინურისა და ჩირუხის მიმართულებით მიმდინარეობს.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ამ ქვეყნის ბედი მაინტერესებს, თორემ პიტალო თორდიას შუბაც დავხიე და ფარცხალაძისაც...

გვესაუბრება ლაშა ამირეჯიბი

— „აგერ თამაზ მეჭიაურის პოსტი წავიკითხე, ლაშა თორდია ოცნებას აშანტაჟებსო.! რომ მოივაჭრეთ თქვე მამაცხონებულებო და ეს პიტალო ნაცი მთავარ აუდიტად დადეთ, ვაჭრობისას უნდა გეფიქრათ მის ერთგულებაზე. ნაცი და ერთგული ვის გაუგია?“ — ბატონო ლაშა, ასეთ შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნეთ ამასწინათ. თქვენ გამოირჩევით კრიტიკული გამოსვლებით. სერიოზულია თქვენი ახლანდელი ბრალდებაც. გამოდის, ხელისუფლების წარმომადგენლები „ევაჭრებოდნენ“ და „ევაჭრებიან“ ნაციონალებს?

— ერთი შეხედვით, ძნელია გარკვევა, ვინ ვისა და რის გამო აფარებს ხელს ხელისუფლებაში მოკალათებულ, ძველი რეჟიმის გადმონაშთებს. 2012 წელს თორდია კვლავ რომ დაამტკიცეს აუდიტის სამსახურის უფროსად, რით ვერ შეელია მას „ქართული ოცნება“, იცით თქვენ? მე არ ვიცი.

ახლა გენერელური პროკურორი, ბატონი შოთაძე ამბობს, რომ, თურმე, 2016 წელს კანონი დაურღვევია ამ პიტალო თორდიას. ახლა გაახსენდა ეს ამბავი მთავარ პროკურორს? მაშინვე რატომ არ დააკავა?

ალბათ იმიტომ, რომ ირაკლი შოთაძე და ოთარ ფარცხალაძე უახლოესი მეგობრები არიან. ეს ყმაწვილები დავით კეზერაშვილის უწყებაში ერთად მუშაობდნენ. როგორც მიამბეს, ოთარ ფარცხალაძის გარეშე არც ერთი საპროცესო გარიგება და მსგავსი სახის სხვა მოქმედებები პროკურატურაში არ ხორციელდება დღემდე, ანუ ოთარის დასტური არის საჭირო. იგი არა მხოლოდ პროკურატურას აკონტროლებს, არამედ სხვა უწყებებსაც, ოღონდ ბიძინა ივანიშვილი, დამერწმუნეთ, აქ არაფერ შუაშია.

ლეგენდა, რომელიც სპეციალურად ფარცხალაძემ შექმნა, ასე გამოიყურება: ვითომდა ბიძინა ივანიშვილმა ოთარ ფარცხალაძეს გარკვეული სამინისტროებისა თუ უწყებების კონტროლის უფლება მისცა. არადა, ეს მტკნარი ტყუილია. ბიძინა ივანიშვილს არანაირი კონტროლი არ დაუვალებია ფარცხალაძისთვის. ფარცხალაძე, დაახლოებით, ხუხაშვილისმაგვარი ტიპაჟია, რომელსაც ძალიან მალე დაავიწყდება გზა ბიძინა ივანიშვილის სახლისკენ, თუ უკვე დავიწყებული არ აქვს...

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული ამაში?

— ბატონ ბიძინას ყველამ უღალატა, ვინც მან, ასე ვთქვათ, გზაზე დააყენა. რომელი ერთი ჩამოვთვალო, საილუსტრაციოდ მარგველაშვილიც გვეყოფა, რომელსაც ისე გაუტკბა პრეზიდენტობა, მეორე ვადისკენაც აპარებს თვალს.

რაც შეეხება ფარცხალაძეს, ის, ისევე როგორც ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც ბატონ ბიძინას ერთხელ მაინც არიან შენახვედრი, სპეკულირებს ივანიშვილების ოჯახთან მეგობრობითა და ნათელ-მირონობით.

როგორ წარმოგიდგენიათ, ბოტასების მომპარავის ბიძინა ივანიშვილი რაიმე სახის ბიზნესს ანდობდა? არადა, დაბნეულ და შეშინებულ მაღალჩინოსანს ან ბიზნესმენს სიმართლის გადამოწმება უჭირს და შესაბამისად, ასრულებს „თხოვნას ზემოდან“.

ახლა ერთი რჩევაც მინდა მივცე ბატონ პროკურორს და ეს იცოდეს: მოხელე, ჩინოვნიკი თუ პროკურორი, რომელიც ხელს აფარებს მძიმე დანაშაულს, ავტომატურად ამ დანაშაულის თანამონაწილე ხდება. განსაკუთრებით კი, როცა ხელს აფარებს ნარკოდილერებს. შოთაძემ უკეთ იცის, თუ ვის დააფარა ხელი და მერე, საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, წელიწადნახევრის შემდეგ დააპატიმრა. ამაზე არაერთხელ მითქვამს.

ასევე მინდა დავარწმუნო ქართული საზოგადოება იმაში, რომ არც ბიძინა ივანიშვილი და არც მისი ახლობლები არასოდეს არ ანდობდნენ ოთარ ფარცხალაძეს მათთვის საინტერესო ბიზნეს-ინტერესს, ამ საქმეს აქამდე ოთარის გარეშეც მშვენივრად ართმევდნენ თავს.

არც თორდიაა ჩემი მეგობარი და არც ფარცხალაძე ჩემი ნათესავი. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ამ ქვეყნის ბედი მაინტერესებს, თორემ პიტალო თორდიას შუბაც დავხიე და ფარცხალაძისაც...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას — გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

* * *

— მაინტერესებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება;

ბ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

დ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში — სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში — სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები)); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალცალკე;

ე) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

ზ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;

კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, თუ იგი განსხვავდება ამ ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან.

3. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს:

ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს (გამოიყენებენ) საქმიან ურთიერთობებში;

გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ — ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

დიდი ცვლილებების მოლოდინში

პოლიტიკური თვალსაზრისით, მსოფლიოში განვლილი კვირა საკმაოდ დატვირთული გამოდგა. განსაკუთრებული ყურადღება ევროპა-ახლო აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი, რადგან სწორედ ამ რეგიონებში ახორციელებდა თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტებს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

ევროკავშირში სტუმრობისას დონალდ ტრამპმა, ძირითადად, საკუთარი ქვეყნის ინტერესებით იხელმძღვანელა. ის გარემოება, რომ ტრამპის ვიზიტით ევროჩინოვნიკები იმედგაცრუებული დარჩნენ, აშკარად ეტყობოდათ — მათ ვერ მიიღეს ფინანსური თუ ეკონომიკური მხარდაჭერის დაპირებაც კი. უფრო მეტიც, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა უდიერად მოიხსენია გერმანელები და განაცხადა, რომ ისინი მილიონობით ავტომობილს ყიდიან ამერიკაში, რაც ჩვენს მანქანათმშენებლებს პრობლემებს უქმნისო. თუმცა ევროჩინოვნიკებმა უარყვეს ტრამპის გამონათქვამი და თარგმანში შეცდომას გადააბრალეს.

ბრიუსელში, ნატოს ახალ შტაბბინაში, რომლის აშენებაშიც ერთი მილიარდი დოლარი დაიხარჯა, მოუთმენლად ელოდებოდნენ დონალდ ტრამპს. მიზეზი ადვილი გასაგებია — ტრამპმა ნატოს ცოტა ხნის წინ უსარგებლო ორგანიზაცია უწოდა. ფაქტობრივად, ამ ვიზიტის დროს უნდა გარკვეულიყო ნატოს მომავალი. ტრამპმა, როგორც შემდგომ გამოჩნდა, შეიცვალა აზრი ნატოსთან მიმართებაში და ახლა ის მისი გადასახედიდან უსარგებლო ორგანიზაცია აღარ არის. თუმცა პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ტრამპმა პირველივე ვიზიტისას ნატოში არ გააკეთა მკვეთრი განცხადება. მათივე თქმით, ამ ორგანიზაციის მომავალი ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

ნატოში ტრამპის ვიზიტის შედეგად გადაწყდა, რომ ერთობლივი ძალებით შეებრძოლებიან მსოფლიოში გამძვინვარებულ ტერორიზმს. ამასთან, ნატოს წევრი ყველა ქვეყანა გადაიხდის გადასახადს და გაზრდის თავდაცვის ბიუჯეტს. ტრამპმა არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან მხოლოდ 5 ქვეყანას შეაქვს საწევრო გადასახადი. ნატოს სამიტიზე ერთობლივი სურათის გადაღებისას ტრამპს ოდნავ შეაგვიანდა. როდესაც მოვიდა, ჩერნოგორიის პრეზიდენტს ხელი უბიძგა და ისე ჩამოიცილა გზიდან. ამის შესახებ მიმომხილველებმა იხუმრეს, ამით ტრამპმა მიუჩინა ადგილი ჩერნოგორიასო. ტრამპს ის დაცვის წევრი ეგონაო, მობოდიშებით განაცხადეს აშშ-ის დელეგაციის წევრებმა.

სიცილიაზე, დიდი შვიდეულის შეხვედრის დაწყებამდე ექსპერტები საგონებელში ჩაცვივდნენ, არ იცოდნენ თუ რა საკითხებს განიხილავდნენ. ტრამპს მსოფლიოში კლიმატის პრობლემებზე საუბარი არ სურდა, რაც ჯერ კიდევ ევროკავშირში ვიზიტის დროს გამოჩნდა. არც ემიგრაციის საკითხი აინტერესებდა, რადგან ეს საფრთხე აშშ-ს ნაკლებად ელოდება. თუმცა შეხვედრა შედგა. მთავარ საკითხად აქაც ტერორიზმთან ბრძოლა განიხილეს. ამასთან, არც ეკონომიკური საკითხები გამორჩენიათ.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც გაამახვილეს ყურადღება პოლიტიკურმა მიმომხილველებმა. დონალდ ტრამპის და ემანუელ მაკრონის შეხვედრის დროს ტრამპმა, ხელის ჩამორთმევა გააჭიანურა, მაკრონს ხელს არ უშვებდა. ამით ახალგაზრდა კოლეგისთვის უნდოდა ეჩვენებინა თავისი უპირატესობაო, განაცხადეს მიმომხილველებმა. თუმცა ახალგაზრდა მაკრონმა დიდი შვიდეულის წევრებს თამამად უსაყვედურა, რომ ტერორიზმს არაეფექტურად ებრძვიან.

ტერორიზმი მსოფლიო ქვეყნების თავსატეხი რომ გახდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა მანჩესტერში მომხდარმა ფაქტმა.

ტერაქტის ამსახველი მაასალები, რომლებსაც ინგლისის პოლიცია ასაიდუმლოებდა, ამერიკულ პრესაში გავრცელდა. ამ გარემოებამ პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის გაღიზიანება გამოიწვია. გაბრაზებულმა განაცხადა კიდეც, რომ ბრიტანეთი შეწყვეტს აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასო. გავრცელებული ინფორმაციით, ამის შესახებ ესაუბრა კიდეც დონალდ ტრამპს. როგორც ამბობენ, ტრამპმა საიდუმლო მასალების პრესაში გაჟონვის გამო თავისი შეშფოთება გაუზიარა მეის. აშშ-ის საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ შეიქმნა შტაბი ჩანერგილი ინფორმატორების გამოსავლენად. მათივე ცნობით, უკვე გამოვლინდნენ კიდეც პიროვნებები, რომელთა შესახებაც საზოგადოებას ინფორმაციას მოგვიანებით მიაწვდიან. ამერიკა-ბრიტანეთს შორის გაუგებრობა ამოიწურა და სპეცსამსახურები თანამშრომლობას განაგრძობენ.

ამასობაში ტრამპის თითქმის ათდღიანი ვიზიტი დასრულდა, რომელსაც პოლიტოლოგები წარმატებულად აფასებენ. თვით ამერიკული პრესაც კი გაოცებულია მოლაპარაკებებში ტრამპის მიერ გამოვლენილი ნიჭით. როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, აზია-ევროპის ვოიაჟის შემდეგ, ტრამპის რეიტინგი ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. ექსპერტების განცხადებით, ამერიკის მოსახლეობას საგარეო პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს, მათთვის მთავარი ქვეყნის შინაური საქმეებია.

თუ დონალდ ტრამპი კმაყოფილია თავისი ვოიაჟით, სამაგიეროდ, ევროპელი პარტნიორები არიან იმედგაცრუებულები. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საჯაროდ განაცხადა: „წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენ სხვების, თუნდაც პარტნიორი ქვეყნების, იგივე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის იმედი გვქონდა. ახლა ყველა საკითხი ჩვენ, ევროპელებმა უნდა მოვაგვაროთ, ეს იქნება ტერორიზმთან ბრძოლა თუ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება...“ რა მოჰყვება ამ განცხადებას, ახლა ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, მთელ ევროპაში თუ არა, გერმანიაში აშშ-ის გავლენა მცირდება.

ამასობაში ემანუელ მაკრონი თავის რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინს მასპინძლობს, რომელიც თავად მიიწვია საფრანგეთში. სავარაუდოდ, მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, რომელთა წინაპირობებიც უკვე არსებობს...

გია გურდული
551 71 27 07

იქნებ დაინახოთ ფარდის მიღმა ცრემლიანი საქართველო

ბატონო პრემიერო,

თქვენი ამასწინანდელი განცხადება დიდი პარტნიორის წინაშე ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენა - საქართველომ ბევრ სიკეთესთან ერთად სიღარიბე დასძლიაო, გავსულვართ ფონს და ეგაა - აღარ ისმის წყევლა - კრულვა ბანკებთან, ვალებში აღარ გვიყიდიან სახლებს, ბინებს, თუ მიწებს. მათხოვრებიც სადღაც გამქრალან. აღარაა რიგი ურნებთან. ქართველი ქალები არ გარბიან საზღვარგარეთ, ყველაზე დამამცირებელ მონურ სამუშაოზე, რამდენადაც ათასობით სამუშაო ადგილი გაჩენილა, თითქოს 2000 ბავშვი არ გარდაცვლილიყოს შიმშილისგან და შარშან ასიათას კაცს არ დაეტოვებინოს საქართველო. ისე. ევროპამ და ამერიკამ ვერ დასძლია სიღარიბე და ამ პატარა პარტნიორმა საქართველომ, როგორ მოახერხა ეს, მართლაც საოცარია?

ეტყობა, თქვენ არ იცნობთ სიღარიბეს ბატონო პრემიერო, რომ „იგი არის პატარა ჯვარცმა”. ამას ვერც იმ მილიონერებს გააგებინებთ, პარლამენტში ასე რომ მომრავლებულან. არაფერს ვამბობ ქვეყნის დაქცევით, ქონების დათრევით გამდიდრებულ ნაცბიზნესმენებზე, მონებად რომ აქციეს ხალხი. რას იზამ, კაპიტალიზმია, მდიდრებიც იქნებიან და ღარიბებიც. კონკურენციაა, ბრძოლაა, პროგრესის მომტანი, მაგრამ ერი რომ იღუპება, რად გვინდა ასეთი ახალი წყობა, სიღარიბე ჯვარცმაზე უარესია. მან საკუთარი მიწიდან განდევნა ქართველობა. ასეთი რამ თემურ ლენგმა თუ შაჰ-აბასმა ვერ მოახერხა. შიმშილს გაექცა ქართველი კაცი 21 საუკუნეში, რამეთუ შიმშილი სიკვდილია უჩინო, ვერაგი და დაუნდობელი.

„თუ არს სიცოცხლე, რაა სიკვდილი, თუ არს სიმაძღრე, რაა შიმშილი” - წერდა დიდი დავით გურამიშვილი, მაგრამ რომ არაა ასე? ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ძუძუ გვიწოვია „ცოცხალნიც მისი ვართ

და მკვდარნიცა”, ოღონდ ესაა, ნაადრევად რატომ ვართმევთ ადამიანებს ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს.

200 პარტია ვითომ ქვეყნისთვის იბრძვის, არადა ქვეყანა ერთია. გეოსტრატეგიულმა პრიორიტეტმა არ უნდა გვავნოს, არც ამერიკა და არც რუსეთი იმდენს ვერ დაგვაზარალებს - როგორც შინაური მტრობა და ქიშპობა. „ვეფხისტყაოსნის” სულით მდიდარი ქვეყანა და ხალხი ფიზიკური განადგურების წინაშეა.

დამნაშავე მაინც ჩვენ ვართ - ხალხი, ქვეყანა, რომელმაც სააკაშვილი აირჩია. და მივიღეთ დიქტატურა დემოკრატიის ნიღბით - ათასობით გაუბედურებული ადამიანი, ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ გაიქცა და იქედან არჩენს დარჩენილ ნახევარს. მივიღეთ დაუსწრებელი საქართველო, დაუსწრებელი ცხოვრება (დაუსწრებელი სწავლა გამიგია). არადა, ფული, რომელიც აშშ-მ გამოგვიყო და „ნაცბანდამ” მიითვისა, ქვეყანასააყვავებდა.

ის, რომ სული გვიდგას და შუქის, გაზის და წყლის საფასურის გადახდას ვახერხებთ, ვიღაცის ბიზნესის ხელშემწყობი ვართ, ეს არის სიმდიდრის მაჩვენებელი? ან ის, რომ მხოლოდ საარჩევნო ხმად შემოვრჩით, ესაა ბედნიერება? - დემოკრატია ყვავის! დემოკრატია და თავისუფლება ისაა, ცხოვრება რომ გიხარია, ჩვენ კი არსებობისათვის ვიბრძვით და სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა. ამიტომაც, შეხვდით ადამიანებს და უკეთ გაიგებთ მათ გასაჭირს. „ნაცები” და მათი „რუსთავი-2” კუთხე-კუნჭულს არ ტოვებენ. რათა აგინონ „ოცნენას”, ხალხის გამო რომ არ სძინავს გვარამიას გუნდს - ცოტა დაუჯერებელია. თქვენ მათ როგორ შეგადარებთ, მაგრამ იყავით უფრო რეალური. ლამაზ ფერებში ნუ აღიქვამთ ცხოვრებას, ეს სააკაშვილის სტილია, ვირტუალური ქვეყანა, ტელეგადაცემებით - ცხოვრება საამურია. საამური როგორ არაა, მაგრამ ვისთვის?” სიღარიბე დაძლეულია, ოღონდ ვისთვის? დემოკრატიაც არის და თავისუფლებაც, ოღონდ ვისთვის? დაეშვით ადამიანთა მიწაზე, აქ ტკივილთან ერთად კაცობის სითბოსაც იგრძნობთ. იქნებ დაინახოთ ფასადს მიღმა ცრემლიანი საქართველო.

ზურაბ აბრალავა
გაზეთ „ნიკოლაძის გზით“
რედაქტორი ტელ: 568 41 71 58. ფოთი.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

აღსანიშნავია, რომ როდესაც ესპანელებმა პერუში ინკების სამეფო აღმოაჩინეს, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ ანდების ტანმორჩილ და შავგვრემან ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვით ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი, უკანასკნელი შთამომავლები თეთრკანიანი, წვერიანი ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავლები. მათ ინკების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე აუგიათ შენობები, მაგრამ ერთხელაც, მიუტოვებიათ ეს ყველაფერი, თავიანთი ბელადის მეთაურობით წასულან კურაკოში, შემდეგ შესულან წყნარ ოკეანეში, მიცურავდნენ სამოცი დღე მზის დასავლეთი მიმართულებით და თან ჩამოუყვანიათ პირველი გრძელყურიანები.

შვეიცარიელი მკვლევარი იშველიებს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ეგვიპტის პირამიდებს, აღდგომის კუნძულის ქანდაკებებს, ნასკას ხაზებსა და ბიბლიის აპოკრიფულ ტექსტებს და ამტკიცებს, რომ ქანდაკებების გამოსაკვეთად კუნძულის ხალხს უცხოპლანეტელებმა უსახსოვრეს სამუშაო იარაღები, თუმცა ვერ ხსნის, რატომ დატოვეს კუნძული „კეთილისმყოფელებმა“.

რადიუმ-ნახშირბადის მეთოდით დათარიღდა აღდგომის კუნძულის დასახლება — არაუგვიანეს ჩვ. წ. აღ-ით IY საუკუნიდან კუნძულზე ცხოვრობდა ინდიელების ტომი რომლის თეთრკანიანი წინამძღოლიც გვარად მატუა იყო, მავანთა ვარაუდით ინდიელი, თუმცა „რატომღაც“ მეგრული გვარითა და მეგრული (კოლხური) ატრიბუტიკით...

1988 წელს ავსტრალიელმა პროფესორმა რობერტ მაურმა კუნძულის ტორფიან ჭაობში აღმოაჩინა შუა საუკუნეებისდროინდელი ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც, აღჭურვილობის მიხედვით, საავარაუდოდ, „ლივონიის ორდენის“ წევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორ მოხვდა კუნძულზე? — პასუხი გაუცემელია.

კლიმენტი შელია: — „მუსლიმანთა წინააღმდეგ დღევანდელი ევროპული ქვეყნების რაინდთა ბრძოლებში დავით აღმაშენებლის მოლაშქრეებიც მონაწილეობდნენ, რომელთაგან ზოგიერთი გვარი შემონახულია (შელია, ხარბედია და სხვ) და ისინი ლაშქრობის შემდეგ ევროპაში დასახლდნენ. მეგრელები მრავლად იყვნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებშიც. მოკლედ გეტყვით, ყველა მონაცემით ჩანს, რომ ავსტრალიელი მეცნიერის მიერ ნაპოვნი რაინდი დავით აღმაშენებლის მოლაშქრე იყო.“

მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შუა საუკუნეებში იყო ტექნიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო შორ მანძილზე წუთიერ-წამიერი გადაადგილება — ეს ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია.

2015 წელს დაუჯერებელი აღმოჩენის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია — აღდგომის კუნძულზე გაბნეული გიგანტური ქვის იდუმალი ქანდაკებები კიდევ უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა ვიდრე ჩანდა. არქეოლოგებმა გათხრები დაიწყეს და მოულოდნელი შედეგის მომსწრენი გახდნენ — კუნძულზე გაბნეული ქანდაკებების მხოლოდ თავები ჩანს, უზარმაზარი თავების ქვეშ კი, რამდენიმე მეტრზე მიწისქვეშ, პეტროგლიფებით მოხატული სხეულები აღმოჩნდა.

„აღდგომის კუნძული“, ჩილეს სანაპიროდან 3 700 კილომეტრში მდებარეობს და ერთ-ერთი ყველაზე იზოლირებული დასახლებული ადგილია დედამიწაზე, რაც კიდევ უფრო მეტ მაგიურ იერს სძენს.

„აღდგომის კუნძულის“ ქანდაკებათა სილუეტები მსოფლიოსთვის იყო ცნობილი, მაგრამ ჰქონდათ თუ არა მათ ტანი და ფეხები მხოლოდ ახლაღა, 12-წლიანი გათხრების შედეგად გაირკვა. აღმოჩნდა, რომ თითქოსდა მიწაზე დაწყობილ თავებს შესაფერისი ზომის ტანი და ფეხები ჰქონიათ და თავდაპირველად სულაც არ იყვნენ მიწაში ჩაფლულები. ქანდაკებების ზურგი წარწერებით არის დაფარული, თუმცა რა იკითხება წარწერებში, ჯერჯერობით გაურკვეველია. როგორც ამბობენ, გათხრების დროს ის მოწყობილობებიც იპოვეს რომელთა მეშვეობით ეს უზარმაზარი კოლოსები გადაჰქონდათ — სტატუას ჯერ ჰორიზონტალურად მიიტანდნენ საგანგებოდ გაჭრილ ორმოებამდე, შემდეგ თოკებისა და ხის ბერკეტების დახმარებით აღმართავდნენ, დამზადება კი კუნძულის ცენტრში არსებულ ქვის სამტეხლოებში ხდებოდა. მათ ადგილობრივები მოაის უწოდებენ და კუნძულის მფრველ ღვთაებებად მიიჩნეოდნენ. რა თქმა უნდა, ყველაფერს დაბეჯითებით ვერ ამბობს მეცნიერება, მხოლოდ ვარაუდებია. ყოვლად აუხსნელია ქანდაკებების სიმბოლიზმი. აღსანიშნავია, რომ ყველა ქანდაკება იყურება კუნძულის სიღრმეში და არა ოკეანისკენ და უმთავრესი, არც ერთ სკულპტურას არ აქვს ადგილობრივი იერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირიქით, ყაბალახი გვხვდება და კუნძულის პირველი თეთრი მეფის დღემდე არსებული კოლხური (მეგრული) გვარი...



უანჩები (გუნა ჩები) და ბერბერები — მეგრული ტომები?

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს ატლანტიდადან მოსულ ხალხად მიიჩნევენ) პირველი კაცის სახელი არის „აიონი“ (აიასი, აიასგან, აიათი); მის შვილს ჰქვია „ფურ“, ატლანტიდურ-ფინიკიურად „ცეცხლი“, რაც კოლხურად ნიშნავს „ცხელს“, კოლხურად (მეგრულად) „ფურე“ ნიშნავს მზურვალეებას (აქედან სიტყვა „ფურნე“)... ატლანტთა ენაზე „ფურ“ არის ცეცხლის აღმომჩენი — ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერებათ. კოლხურში არის „ფურ-კი“) კვამლი. ატლანტი პრომეთეს ძმაა; ბერძენი პრომეთე იგივე ხვამლის მთაზე მიჯაჭვული კოლხი ამირანია, აიეტის ნათესავი პრომეთე...

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს ჰქვია „მოლი“. ხომ არ არის ეს „მოლი“ იგივე „მოლი“, რომელიც „არგონავტიკაში“ გვხვდება და ის „მოლი“, რომლითაც მედეა ავადმყოფებს კურნავდა? — „მოლი“ წარღვნამდელი კოლხური სიტყვაა. („მოლი“ ფინიკიურად ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ჰქვია)

აცტეკურ მითებში საუბარია ორ ადამიანზე რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას „ტატა“ და „ნენა“. ეს უძველესი მეგრული (კოლხური) სიტყვებია, ნენა-ს დღესაც უწოდებენ დედას, ხოლო ტატა-ლი ამჟამადაც ლამაზს, მშვენიერს, საუცხოოს ჰქვია სამეგრელოში...

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდადან მოდის ფინიკიური და მაიას ტომის ანბანი („კოლაუს ანბანი“). თუ ეს მართლაც ასეა, ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა „თააუთმა“, რომელსაც ეგვიპტელები მთვარის ღმერთს, „თოთს“ უწოდებენ. კოლხურში „თოუთი“— „თიუთა“ — „თუთა“ მთვარის ღვთაებაა (დამწერლობის ღმერთი). ძველ კოლხეთში ნიშნავს მთვარეს, თვეს, კვირის პირველ დღეს, სიტყვასიტყვით — მთვარის პირველ დღე, ორშაბათი. კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება „თუთაშდღა“ — მთვარის დღე...

ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და თავიანთ თავს „ანაკის შვილებს“ უწოდებდნენ. ჰეროდოტეს მტკიცებით, ფინიკიელებმა, რომლებიც განთქმული ზღვაოსნები იყვნენ, წითელი ზღვით შემოუარეს „შავ კონტინენტს“ (აფრიკას), გაცურეს „ჰერკულესის სვეტებამდე“ (გიბრალტარის სრუტე) და კართაგენში ჩავიდნენ. ჰერაკლეს სვეტებს იქით მდებარეობდა „ბედნიერების კუნძულები“, რომელზეც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, უშფოთველად ცხოვრობდნენ და მარადიული ბედნიერებით ტკბებოდნენ. ამ კუნძულებს ახსენებს ჰომეროსი „ოდისეაში“, ჰესიოდე, ჰინდარი და ა.შ ასევე, არაბული ლეგენდები და ზღაპრები.

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარისა და მადეირის კუნძული ატლანტიდის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინარეისტორიულ ხანაშიც ატლანტიკის ოკეანეში, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტს შორის მდებარეობდა. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი, უნაჩები (გუნაჩები) იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ატლანტიდაზე ცხოვრობდნენ და ოკეანეში ჩაინთქნენ.

„უანჩები (გუნაჩები) „ბედნიერი კუნძულის“ მკვიდრი მოსახლეობაა რომელთა წარმოშობა საიდუმლოებითაა მოცული, თუმცა არსებობს შეხედულება, რომ ისინი დაღუპული ატლანტიდელებისგან არიან დარჩენილი.

არსებობს მოსაზრება, რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელებისა და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავენი იყვნენ, თუმცა ამ შემთხვევაში დღეისათვის აბსურდულ რეალობას ვაწყდებით — ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები, ქარული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ჩრდილოეთ აფრიკის ბერბერების სიტყვებს ჰგავს და ბერბერები თავისუფლად გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს“ — წერს ვასილ იანი (ვ. იანი „ფინიკიური ხომალდი“ 1967 წ)

იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გემით კართ-ხადაშტიდან და ის, რომ ამ მოგზაურობის მონაწილე მოხუცმა ბრძენმა ფინიკიელმა თიხის ქოთნების გამოწვის სპეციალისტს დაამზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა, რომელზეც მოგზაურობის ისტორია ჩაიწერა. ფილები მან იმ გამოქვაბულში ჩაფლა სადაც უანჩების წინაპარს უნდა ეცხოვრა. ბრძენი ასე ამთავრებს თავის მონათხრობს: — „მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებდი ხალხს, რომელიც უსამართლოდ არ ექცევა და არ ჩაგრავს სხვას, თავისზე სუსტს და აი, მივაგენი მათ.“ (საუბარია უნაჩებზე, ბერბერებზე, ბერბერების მონათესავე მეგრულ ტომებზე)

ვასილ იანის წიგნში „ფინიკიური ხომალდი“ აღწერილია როგორ იპოვა სიძველეთა მოყვარულმა ექიმმა ვიქტორია მარტინმა მცირე აზიაში გათხრების დროს საიდში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ფინიკიური ქალაქი სიდონი მდებარეობდა, „პატარა ბიბლიოთეკა“. ნაპოვნ „წიგნებზე“, რომელიც თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილაა, გამოსახული იყო 3-4 ათასი წლის წინ დაწერილი ასოები. მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიური და ისტორიულ თხზულებათა ნაწყვეტები, მათ შორის ზღვაოსნის დეტალური ჩანაწერები, რომელიც საფუძვლად დაედო იანის რეალურ ისტორიას.

ფილებზე იკითხება: — „უნაჩი მამაკაცები მაღალი, ახოვანი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს როდესაც მეკობრეები ესხმოდნენ თავს. ბიგვაიამ (ბიგვავა, ბიგვაია — მეგრული გვარი) ბერძნულად დაუწყო ლაპარაკი უნაჩს...“ მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს მოყვანილი თავის შრომებში იანს.

როგორც აღვნიშნეთ, ბერბერებს და უნაჩებს თავისუფლად ესმოდათ ერომანეთის ენა, ბერბერები კი, აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი თეთრკანიანები არიან, რომლებიც ცხოვრობენ ალჟირში, მაროკოსა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში და ამ მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დამახინჯებული მეგრულით საუბრობს. ბერბერი მოსახლეობის 30% მშობლიურ „ბერბერულ“ დიალექტზე მეტყველებს, დანარჩენს დავიწყებული აქვს ენა, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ეროვნული თვითშეგნება, იციან, რომ ეროვნებით ბერბერები არიან. ისინი აფრიკის 33-მილიონიანი მოსახლეობის თითქმის მეხუთედს წარმოადგენენ და საკუთარ ენასა და ეროვნულ კულტურას ერთგულად იცავენ.

XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწყდნენ და მათთან ბრძოლაში უამრავი უნაჩი დაიღუპა, ზოგი მონად გაიხადეს, ზოგმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო, ესპანელებს დაუნათესავდნენ და მთლიანობაში, როგორც ცალკე ტომი, უნაჩები გაქრა, აირია ესპანელებში. ამჟამად უნაჩების კუნძულზე ესპანურად ლაპარაკობენ.

(გაგრძელება იქნება)

გზა დაუთმეთ, დიდი მასწავლებელი მობრძანდება!

დღეს ჩემი მასწავლებლის მზეო ხუბულურის დაბადების დღეა. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით გავიზარდე, დიდი კრძალვა მაქვს. ვღელავ...ვაკაკუნებ კარზე...თავისებური მოკრძალებული სიამაყით მხვდება, მიმასპინძლდება, ვსაუბრობთ... თავის პროფესიაზე საუბარი მისთვის საამაყოა, ის დაბადებით, მოწოდებით პედაგოგია, დიდი ტრადიციების სკოლის მასწავლებელი. ახლა აღარ მუშაობს, მაგრამ თავს დუშეთის I საჯარო სკოლის ნაწილად თვლის. ბედნიერია, რომ სკოლას 180 წლის იუბილე აღუნიშნეს. ამაყობს დუშეთით და მუდმივად ხაზს უსვამს, რომ ის ძველი დუშელია და რომ დუშეთის თეატრი 137 წლისაა, რომ უძველესი კულტურის ქალაქში ცხოვრობს. მადლიერია ქალბატონ მაია მანიასი: დუშეთის კულტურულ მემკვიდრეობას წიგნი მიუძღვნა, დიდი პატივი დაგვდო და დიდი შრომა გასწია, ამას ხომ დაფასება სჭირდებაო, ეს ქალბატონიც იღბლიანია და რაიონის გამგებელიც ვაჟა ჩოხელიცო, რომ მის დროს ხდება ასეთი აღმშენებლობაო, ერთ გამგებელს კი არა ათს ეყოფა ეს დიდი საქმეო- გაოცებული ვუსმენ, ყველაფრის საქმის კურსშია, შეკითხვას მისვამს:- გაიარე ჟვანიას სკოლა?... ეცადე გაიარო, რადგან სპეციალისტები რანგების მიხედვით შეფასდებიან და არ ჩამორჩეო. საიდან იცის ამდენი, არ ვიცი. გაზეთის გამოსვლა ძალიან გამიხარდა, მინდა თვალი ვადევნო მუნიციპალიტეტის წინსვლასო.

იხსენებს ბავშვობას. გამორჩეული ოჯახის შვილი იყო, სკოლაში მამამ წაიყვანა პირველად. იხსენებს პირველ მასწავლებელს სონია თავართქილაძეს, მე კი მახსენდება, როგორი მოწესრიგებული წავიდა პირველელი მასწავლებლის დაკრძალვაზე, ამაყი იყო იმით , რომ მისი პირველი მასწავლებელი პირველი სკოლიდან გაასვენეს, მას ოჯახი არ ყავდა.

იხსენებს ომის მძიმე წლებს, მამა ექიმი იყო, ჯავშანი იცავდა, შეეძლო არ წასულიყო ომშიო, კაცი იყო და წავიდა. მამიდამ- ევგენია ხუბულურმა არ მიატოვა დაქვრივებული რძალი, არ გათხოვდა, თავი გადადო ძმიშვილების გასაზრდელად. დღესაც ყველა დიდი სიყვარულით იხსენებს საბავშვო ბაღის კეთილშობილ აღმზრდელს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შემდეგ მშობლიურ სკოლაში დაიწყო მუშაობა და სამოცდასამი წლის მოღვაწეობის შემდეგ სკოლამ იუბილე გადაუხადა დამსახურებულ პედაგოგს. მოწიწებით იხსენებს სკოლის დირექტორებს ეკატერინე მოსიაშვილს და ქრისტინე ბაშარულს, დავალებას მაძლევს-აი, ვისზე უნდა წეროთ, ისინი ადამიანის სულის მოქანდაკენი იყვნენ და ჩვენ გამოგვრძეწესო.

ვუყურებ და ვფიქრობ, რა შეცვალა დრომ და ასაკმა ამ ქალბატონში, სრულიად არაფერი. ის ისეთივე სულით ახალგაზრდა, ისევ შემოქმედებითი და უბერებელია. ქუჩაში ნებისმიერი შემხვედრი მიხვდება, რომ ის მასწავლებელია, ყოველთვის ასეთი იყო: სკოლაშიც, სახლშიც, ქუჩაშიც, არასოდეს უფიქრია კარიერაზე, სკოლის მასწავლებლობა იყო მისთვის მწვერვალი და ასეთად დარჩა - ის ბედნიერი მასწავლებელია, რადგან უსაზღვროდ უყვართ.

ჩემი ქალაქის მემატიანე და მოსიარულე საუკუნე პიჯაკში დამხვდა გამოწყობილი, ისევ ისეთი, როგორც მე პირადად მახსოვს, ისე საუბრობს, როგორც გუშინდელზე, დაფიქრებაც არ სჭირდება, არა, ის არ ბერდება. ვრწმუნდები, რომ ზრდას ასაკი არ გააჩნია, ადამიანის განვითარება ზრდაა და ბედნიერებაა იყო ამ ასაკში მარადიული ახალგაზრდა.

გარდასულ დროზე ვსაუბრობთ, მის განსაკუთრებულ მშვენიერებაზე. იხსენებს პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილთან შეხვედრას. მზეო ხუბულურით მოხიბულ პოეტს „დუშელობა გადაუწყვეტია“....ისეთი მშვენიერი და სადედოფლო იყო თურმე:

„დუშეთს დავტოვე თამარი,
დავტოვე... რაღას ვუშველი...
ამ მთებში ნათამამარი
ქალი იყავი თუ შველი.......
თვალს მოეფარა ფრთამალი,
დავკარგე....რაღას ვუშველი...
იქნება რამე მეშველოს,
მოდი, გავხდები დუშელი.“

ჰოდა, სხვა გახდა დუშელი, რომელიც შეუყვარდა... ის ერთი და.... მხოლოდ ერთხელ...ცხოვრებამ მცირე ხანს ანებივრა. იყო დიდი სიხარული პატარა ანგელოზის დაბადება, მაგრამ შემდეგ ბორბალი უკუღმა დატრიალდა და პატარა ანგელოზი გაფრინდა უსასრულობაში. მოსპო ტრაგედიამ და გაანადგურა , არავინ და არაფერი უნდოდა. შორიდან მოსულ მეუღლეს კი ავადმყოფი დედა უხმობდა. გამოსავალი იპოვნა, გზა დაულოცა... კაცს შეაგვიანდა და თქვა- მე, ის აღარ მიმიღებს! ...აპატიეს, მაგრამ აღარ მიიღეს, რადგან ერთმანეთს კარგად იცნობდნენ... და ცხოვრებაც წავიდა ასე...სკოლა, თავისი საქმე და ეს საყვარელი ქალაქი ექცა შვებად. დადიოდა ჩამოქნილი, ლამაზი და ამშვენებდა ქალაქს. ახლა გარეთ აღარ გადის, მას თავისი ნამოწაფრები არ ტოვებენ უყურადღებოდ,არასოდეს ავიწყდებათ. ჩემ იქ ყოფნაში სატელეფონო ზარი გაისმა, ექიმი გიორგი ასლამაზიშვილი ურეკავდა და აფრთხილებდა, რომ ანალიზის ასაღებად მომზადებულიყო. მეზობელმა კარზე დააკაკუნა და მისი საყვარელი ქიშმიშით დაფარული ბრინჯი მოართვა ლანგრით, კიდევ რა სჭირდება ადამიანს? - კითხულობს და პასუხიც მზად არის-ყურადღება, სითბო, სიყვარული-მადლობა ყველას. მადლიერება ხომ ნიჭია, მზეო მასწავლებელი მადლიერია ამ ასაკს რომ მიაღწია, ის ახლა 91 წლის გახდა. მადლიერია ,რომ კარგი ახლობლები და აღზრდილები ყავს, რომ მოკრძალებულად ცხოვრობდა და მაინც დააფასა ხელისუფლებამ, „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა, რომ გრძნობს ყოველდღიურ მხარდაჭერას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

ვერაფერს შესთავაზებ, არაფერს მიიღებს, დიოგენეს კასრი გამახსენდა, რომელი დიოგენეს მოსწავლე მე ვიყავი, მაგრამ განცდა მქონდა თუ კი ვკითხავდი- რამე ხომ არ გნებავთ მეთქი, პასუხად ხელს ამიქნევდა, ამიტომ აღარ ვკითხე. თაროდან წიგნის ჩამოღება უნდოდა,- სკამზე უნდა შევდგე, ისე ვერ შევწვდებიო- შე- მეშინდა ასაკის, თუმცა მასთან ასაკი რა მოსატანია, ახლოს არ მიგიშვებს, რომელი ნაპოლეონის თანაშემწე მე ვიყავი და გავჩუმდი. სკამზე შედგომა კარზე კაკუნმა გადააფიქრებინა, მისალოცი ბარათი მოუტანეს, რომელიც მამა დავითმა გამოუგზავნა, გაუხსნელად მომაწოდა და წავუკითხე:-„ჯერ კიდევ არიან ჩვენ პატარა ქალაქში ადამიანები, რომლებიც დუშეთთან ასოცირდებიან, მზეო მასწავლებელი ჩემთვის ასეთია. არასოდეს დამავიწყდება მისი გაკვეთილები, საუბრის უცნაური მანერა, დამოკიდებულება ადამიანებთან. რა გინდ უგუნებოდ ვიყო, მისი სახელის ხსენებაზე ღიმილი მეფინება. ეს დიდი სიყვარულია და ვისურვებდი მრავალ პედაგოგს ესწავლოს მისგან...“მზეო მასწავლებელს ცრემლი მოერია, ეს იყო მადლობა და ჩემი კითხვის პასუხიც: რა არის მთავარი?- აი ესაა მთავარი!...

მოვდივარ, ისევ მესმის პოეტის სიტყვები...“ თვალს მოეფარა ფრთამალი“... და თუ მოეფარება არა ისე, რომ ფრთები ატყლაშუნოს, არა, ის ხომ პატარა ანგელოზთან მიფრინავს და ძილს ხომ არ დაუფრთხობს... ის ხომ მარად ახალგაზრდა ცეცხლოვან სიყვარულთან მიდის, რომელსაც ასე უბერავს სულს და იქ

მისული ალბათ გაბრიელ ჯაბუშანურის სიტყვებით იტყვის:

„მიმიწიე, მანდ ადგილი ორთავეს გვეყოფა;

ნუთუ არ მოგენატრა ჩემთან პაემანი?!

ის ხომ ასეთია, რაც ერგო, ის იკმარა,ამაღლებული... უნებურად ვჩერდები და ხმამაღლა ვამბობ:- გზა დაუთმეთ, დიდი მასწავლებელი, მზეო ხუბულური მობრძანდება!

ზიზი პაპიაშვილი
დუშეთი

მოჯანყე სულის ქალბატონი

80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეროვნული მოძრაობის დიდმა ტალღამ გადაუარა. ქალბატონი იუნონა აფაქიძე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ღირსეული თანამებრძოლი იყო. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც იბრძოდა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისთვის.

იყო მაღალი დონის პროფესიონალი, ჰქონდა მეტად ფაქიზი გემოვნება. მისი კვლევის უმთავრესი საგანი მუსიკა და თეატრი იყო, მაგრამ მისი ხედვა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამით. დიდ მომღერალზე- დავით და ნოდარ ანდღულაძეებზე გამოცემული წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

იუნონა აფაქიძეს თავისი ქვეყანა უყვარდა უხმოდ, უთქმელად. მისი აზრი სულიერ სიფხიზლეზე იყო დამყარებული. ჰქმნიდა სააზროვნოს და არა საკითხავს. უშეღავათო იყო იმის მიმართ, რაც სიცოცხლისთვის გამოუსადეგარი იყო. ვერ იტანდა სტილური მანერით ყელყელაობას და უყვარდა მხოლოდ ის, რაც იყო ნაღდი.

მძიმეა, მეტად მძიმე, რომ დღეიდან მასზე ილაპარაკო, როგორც წარსულზე.

შევთხოვთ უფალს, დაუმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნუნუ დუღაშვილი,
ნუნუ გაბუნია, ერეკლე სადღიანი,
კონსტანტინე ზ. გამსახურდია,
რამაზ გახოკიძე,
ვახტანგ მაჭავარიანი,
თამაზ ყურაშვილი, ვაჟა აბაკელია, ხუტა პაჭკორია.

შენ დაიბადე 26 მაისს

ლადო ანდრონიკაშვილის ხსოვნას

შენ სულ სხვა იყავ,
სხვა გზით მოხვედი,
დიდებული და კაცი რჩეული,
ახლობლებსა და მეგობართ შორის,
გარეგნობითაც გამორჩეული.
შენ ჰიპოკრატეს ფიცით მოხვედი,
რამდენი ღამე თეთრად ათიე,



რამდენ პატარას აჩუქე დღენი,
რამდენი დედა გადაარჩინე.
მშვენიერ ასულთ და მათ ვაჟკაცებს,
ღმერთმა უბოძა ძლიერი გენი.
გაანათლა და გულით დალოცა,
აბა, საიდან ამდენი ბრძენი?!
უერთგულესი შენი მეუღლე,
კრძალვით იხსენებს, რაც იყო გუშინ
და ჩვენ არ ვიცით, ლამაზი ქალი,
რა მონატრებას ატარებს გულში.
შენს მოდგმას ამკობს პატიოსნება,
ნიჭიერების ადგას ნათელი,
მე შენს საფლავზე მოუხლმოდრეკილმა,
მინდა დაგინთო წმინდა სანთელი.
და ერთხელ კიდევ დაბადების დღეს,
ვნახავთ შენს ქუჩას, საყვარელ ალაგს,
დავესესხები მეგობარ პოეტს —
ბატონო ლადო, დააკლდი ქალაქს.

ლალი კალანდარიშვილი
ტელეჟურნალისტი

ჭრელი გვერდი

ჰიპნოზისტი ნარკოზის ნაცვლად

XIX ს-ში ჰიპნოზი, როგორც საანესთეზიო საშუალება, ფართოდ გამოიყენებოდა ქირურგიული ოპერაციების და კბილების მკურნალობისას. პაციენტები ჰიპნოზურ ტრანსში შეჰყავდათ, რის შემდეგაც მათ უტარდებოდათ საკმაოდ სერიოზული მანიპულაციები, მათ შორის, კიდურების ამპუტაციაც კი. მოგვიანებით ექიმებმა ანესთეზიისთვის ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება დაიწყეს და ჰიპნოტიზიორები საოპერაციოებიდან გაქრნენ. თუმცა, ამ მეთოდს რიგი უპირატესობები გააჩნია

ავადმყოფებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მედიკამენტებზე ალერგია აქვს. საინტერესოა, რომ ბევრი ექიმი უკვე საუბრობს იმაზე, რომ ალერგიის გამო ჯობს ჰიპნოზის გამოყენებას დაუბრუნდნენ. ასე რომ სავსებით შესაძლებელია, კბილების მკურნალობის დაწყებამდე ჩვენ არა ნოვოკაინით სავსე შპრიცი, არამედ ქანქარა დავინახოთ, რომელიც ტრანსში შეგვიყვანს...

ალიგატორი – დიდკბილებიანი კეთილი დედა

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ცხოველთა სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მზრუნველ დედად ალიგატორი ითვლება. თავიდან დედალი ალიგატორი დამოუკიდებლად აკეთებს ბუდეს, რომელიც ბიჭებისა და გოგოებისთვის განსხვავებულია. რომელი სქესის იქნებიან მისი პატარები, ამას დედა წინასწარ წყვეტს, ამისთვის მას სპეციალური მექანიზმი გააჩნია. თუ კვერცხები 34 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე ფორმირდება, მაშინ მამალი ალიგატორები გამოიჩიკებიან, ხოლო თუ ტემპერატურა 30 გრადუსამდეა, მაშინ — დედლები.

როცა კვერცხები უკვე ბუდეშია, დედა ზედმიწევნით ადევნებს თვალს ტემპერატურას და ტენიანობას და ყველა ცნობისმოყვარეს ბრაზიანად აძევებს ბუდის სიახლოვიდან. როცა პატარები გამოიჩიკებიან, დედას ისინი პირით წყალში გადაჰყავს და ერთი წლის განმავლობაში თვალს ადევნებს მათ განვითარებას.

ჰოლანდიელი შულცის განძეული

იმ განძეულს შორის, რომელიც დღემდე არ უპოვიათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აშშ-შია. მისი მფლობელი წინა საუკუნეში საკმაოდ ცნობილი განგსტერი ჰოლანდიელი შულცი გახლავთ. მშრალი კანონის პერიოდში მან უზარმაზარი ქონება დააგროვა აკრძალული ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობით. რაღაც მომენტში შულცმა იგრძნო, რომ თავისუფლებას დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებდა და მთელი თავისი დანაზოგი — დაახლოებით ხუთიდან ათ მილიონ დოლარამდე — რკინის ყუთში მოათავსა და კეტსკილის მთებში (ნიუ-იორკის შტატი) ჩამარხა. ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჰოლანდიელი დააპატიმრეს, თითქმის მაშინვე დახვრიტეს იგი. უკვე განაჩენის აღსრულების შემდეგღა მოვიდნენ გონს — როგორც აღმოჩნდა, შულცის გარდა არავინ იცოდა, სად იყო დამალული მისი ფულები, დღემდე შულცის განძეული ნაპოვნი არ არის.

სტალინის პირადი ბიბლიოთეკა

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სტალინს ძალიან უყვარდა წიგნები. მისი ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ასობით წიგნით ივსებოდა. ბიბლიოთეკაში იყო ყველა რუსული და საბჭოთა ენციკლოპედია, დიდი რაოდენობით ლექსიკონები, განსაკუთრებით — რუსული ენისა და უცხო სიტყვათა, ასევე სხვადასხვა სახის ცნობარი. სტალინი აგროვებდა პრაქტიკულად მთელი რუსული ლიტერატურის კლასიკას — ცალკეული წიგნებით დაწყებული, თხზულებათა ტომეულებით დამთავრებული. განსაკუთრებით ბევრი ჰქონდა პუშკინის ტომები. სტალინი ასევე იღებდა ყველა წიგნს, რომელიც სსრ კავშირში გამოდიოდა და იმ თემებს შეეხებოდა, რომლებიც მას აინტერესებდა. ბევრი ცნობილი მწერალი მას საკუთარ წიგნებს ჩუქნიდა ავტოგრაფებით. სტალინის სიცოცხლის ბოლოსთვის მისი წიგნების რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა, მათგან 5 5000 წიგნს ჰქონდა შტამპი წარწერით: „ი.ბ.სტალინის ბიბლიოთეკა“ და რიგითი ნომერი.

ხორთუმიანი ცხენი

შუასაუკუნეებში ინდოეთში არსებობდა მარვარის ოლქი, სადაც რაჯპუტების ტომი ცხოვრობდა. ისინი იმით იყვნენ განთქმული, რომ გამოიყვანეს ცხენე-

ბის ჯიში, რომლებსაც უდაბნოში საბრძოლველად იყენებდნენ. მათი სამხედრო ეშმაკობა იმაში მდგომარეობდა, რომ თავიანთ ცხენებს ხორთუმებს უკეთებდნენ. მოწინააღმდეგეების სპილოებს ისინიც სპილოები ეგონათ და მათ არ ებრძოლებოდნენ. ასეთ დროს კარგად გაწვრთნილი ცხენი წინა ფეხებით სპილოს შუბლში ურტყამდა, მხედარი კი მოწინააღმდეგეს შუბით განგმირავდა ხოლმე.



ადვოკატის ბოლო სიტყვა

1871 წელს ამერიკაში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. სასამართლო სხდომა განიხილავდა საქმეს, რომელზეც ბრალდებულს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ბარში საკუთარი თანამეინახე მოკლა. ადვოკატი კლემენტ ვალანდინჰემი კი ამტკიცებდა, რომ მისი კლიენტი დამნაშავე არ იყო და გარდაცვლილმა შემთხვევით თავად გაისროლა, როცა პისტოლეტს ბუდიდან იღებდა. ადვოკატმა გადაწყვიტა, ეჩვენებინა, ეს როგორ მოხდა. მან ამოიღო თავისი პისტოლეტი ბუდიდან, მაგრამ ის შემთხვევით დატენილი აღმოჩნდა, მოულოდნელი გასროლის შედეგად ვალანდინჰემი გარდაიცვალა. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა — მსაჯულები დარწმუნდნენ, რომ ადვოკატი მართალი იყო.

ასი მილიონი ერთ დღეში

პაბლო პიკასო ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის მსოფლიოში ერთადერთი მხატვარი იქნებოდა, რომელმაც საკუთარი ფუნჯით ერთ დღეში 106,5 მლნ დოლარი იშოვა. სწორედ ამ ფასად გაიყიდა მისი სურათი „შიშველი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“. პიკასომ ეს ნახატი 1932 წელს ერთ დღეში შექმნა, ასი მილიონი კი ვიღაც სხვამ იშოვა.

წინასწარმეტყველი ჟიულ ვერნი

ჟიულ ვერნის რომანი „დედამიწიდან მთვარემდე“ 1865 წელს გამოიცა. XIX ს-ის მკითხველები მწერლის დაუოკებელი ფანტაზიით იყვნენ აღფრთოვანებული — მძიმე რაკეტა პლანეტის ზედაპირს მოწყდება და მთვარეზე მიფრინავს — ეს ხომ ფანტასტიკაა! მაგრამ წინის წინა საუკუნის მცხოვრებლებს კიდევ უფრო მეტად გაუკვირდებოდათ, რომ სცოდნოდათ, მათმა თანამედროვემ რამდენი რამ იწინასწარმეტყველა მომავლიდან. ამგვარად, მოგზაურები მთვარეზე იმ რაკეთით მიემართებიდან, რომელმაც სტარტი ფლორიდაში, კანავერალის კონცხიდან აიღო, ისინი უწონობაში დაფრინავენ, გადატვირთვის საწინააღმდეგო ჰიდრავლიკურ ავზს იყენებენ და წარმატებით სხდებიან მთვარეზე — ყველაფერი ისეა, როგორც XX საუკუნეში... საინტერესოა, რომ მწერალმა სწორად დაასახელა ის საწყისი სიჩქარეც, რომლითაც დედამიწის გრავიტაციის დაძლევა იქნებოდა შესაძლებელი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com